ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი – კვირა, 20 – 21 მაისი, 2017

№118 (7353)

ფასი: 50 თეთრი

## რა უნდა გავითვალისწინოთ ქონების ჩუქებისას?



გვ.5

18 მაისიდან

ოქროს ბიბლიოთეკა

თეოდორ დრაიზერი

ამერიკული ტრაგედია

ნაწილი 1

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




# „ციანიდის საქმეში არის მტკიცებულებები ინტიმური დეტალებით“





ადვოკატი: „პროკურატურა დეკანოზს აშანტაჟებს“

გვ. 4

დეკანოზ მამალაძეს სახაზინო ადვოკატი დაუნიშნეს

## ნონა წოწორია: „ჩემი ძმის სახლში ჩატარებული ჩხრეკა მე მიკავშირდება“

გვ.5





„ხელისუფლება გადასულია პოლიტიკურ ტერორზე“

## ჯემალ გამახარია: „რუსეთმა აფხაზეთის ანექსიისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა“



გვ.3



გვ.3

## ლია მუხაშავრია: „ფარცხალაძე ბედავს და თავს ესხმის გენერალურ აუდიტორს. ის საშიშია საზოგადოებისთვის“



უცხოელი მიწას საქართველოში იმიტომ ყიდულობს, რომ მერე უფრო ძვირად გაყიდოს

გვ.6

ISSN 1987-9385

9 771987 938006

2016 წელს აჭარის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებში შრომის ანაზღაურებაზე 12.058.202 ლარი გაიცა

გვ.6



# მილიონერ პროკურორებსაც გული ჰქონიათ



გასულ კვირას საქართველოში კიდევ ერთი მილიონერი გამოჩნდა. ნაპროკურორალ ოთარ ფარცხალაძის ქონებას ითვლის არითმეტიკული ტაბულის ყველა მცოდნე.

ჩამოთვლილი ქონებრივი ნუსხა რომ შეისწავლოთ, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ფარცხალაძის ტერიტორიაზე ცხოვრობთ. სწორედ ასეთი შესწავლის გამო „დაისაჯა“ მთავარი აუდიტორი ლაშა თორდია. ინციდენტი შარდენის ქუჩაზე, კაფეში მოხდა.

თორდიას გადმოცემით, მას ფარცხალაძემ საქმის გარჩევა დაუწყო, რა უფლებით სწავლობდა მის ქონებას და ამის შემდეგ მის თანმხლებ პირებთან ერთად ფიზიკურად გაუსწორდა მთავარ აუდიტორს.

ფარცხალაძემ კი განაცხადა, რომ კაფეში იჯდა, ეცნობოდა ლიტერატურას და თორდიამ დაურღვია პირადი სივრცე, ალბათ, სიმყუდროვე.

მოკლედ, თორდია-ფარცხალაძის სკანდალი გასცდა საზღვრებს. ოპოზიცია-პოზიცია ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა, ვინ არის დამნაშავე, მილიონერად წოდებული ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე თუ მის მიერ დაზარალებული ლაშა თორდია, რომელიც ქალა-ტვინის მძიმე დაზიანებით საავადმყოფოში მოხვდა.

– ჩემი შველა ამ საქმის გამოსავალი არის მხოლოდ ამ ვიდეოკადრებში იმიტომ, რომ ეს ადამიანები ყველაფერს იკადრებენ, მილიონ ჩვენებას გაახმოვანებენ, რომ მე დავესხი თავს, ძალიან მძიმე ალკოჰოლურ სასმელს ვსვამდი და ბატონი ოთარი ცქრიალა ღვინით პირს ისველებდა მხოლოდ და, ალბათ, არც ყლაპავდა და შემდგომ მე დავესხი თავს და უნებლიეთ გამიყვანა დაცვამ გვერდზე. ამის შემდგომ ვიჯექი კიდევ ჩემს მაგიდასთან და ვაგრძელებდი ქეიფს, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

– წუთიერი გაუგებრობა იყო და არ არის გამორიცხული, თორდიამ თვითდაზიანება მიიყენა, – ასეთია ფარცხალაძის ადვოკატის გაგი მოსიაშვილის მოსაზრება.

,,ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის სერგო რატიანის შეფასებით, ფარცხალაძემ ამ დღეებში სილა გააწნა არა ერთ ადამიანს, არამედ საზოგადოებას, პარლამენტს და უმრავლესობას.

ომბუდსმენის აპარატმა ფარცხალაძე-თორდიას საქმის შესწავლა საკუთარი ინიციატივით დაიწყო.

უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ბევრ კითხვას აჩენს ის, თუ რატომ არ დაიკითხა ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე დაუყონებლივ.

– როცა ერთ-ერთი კონსტიტუციური ორგანოს ხელმძღვანელი განცხადებას აკეთებს, ვფიქრობ, რომ ამ განცხადებაზე რეაგირება დაუყოვნებლივ უნდა მომხდარიყო. ჩვენ გამოძიებას თვალ-ყურს მივადევნებთ. ძალიან ბევრ საკითხზე ინფორმაცია ცოტა ხანში გვექნება და ბევრ კითხვას პასუხი გაეცემა. იმედი მაქვს, ეს გამოძიება გონივრულ ვადაში დასრულდება, რა თქმა უნდა, თუ ეს გამოძიება არ გაიწელა და კიდევ ერთი გაწელილი საქმე არ მივიღეთ. დღის წესრიგში სხვა ფორმატში ამ საქმის შესწავლის აუცილებლობა დგება, – განაცხადა ნანუაშვილმა.

დაიკითხა ყოფილი მთავარი პროკურორიც.

ის ფაქტი, რომ პრემიერი აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელზე მომხდარ თავდასხმას უკომენტაროდ ტოვებს, ნიშნავს იმას, რომ კვირიკაშვილი კარგად აცნობიერებს, ვინ არის მისი ხელისუფლების წყარო.

– ეს ნიშნავს იმას, რომ პრემიერი კარგად აცნობიერებს, რომ ფარცხალაძეზე კომენტარის გაკეთება ნიშნავს ივანიშვილზე კომენტარის გაკეთებას, – განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა.

– კვირიკაშვილსაც და ხელისუფლებაში მყოფ ,,ქართუს ხალხს“, ასე ვთქვათ, ოთარ ფარცხალაძე არ უყვართ, რბილად რომ ვთქვათ, მაგრამ არსებობს ეს მაგრამ, ის ჯერჯერობით უყვარს ბიძინას, – აღნიშნა გივი თარგამაძემ.

მისი აზრით, ივანიშვილმა ფარცხალაძის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება.

– დიდი ხანია პრემიერ-მინისტრს უნდა ფინანსური პოლიციის გაუქმება, მაგრამ ამას ვერ ახერხებს, ვინაიდან ეს დაწესებულება, ფაქტობრივად, ფარცხალაძეს ეკუთვნის. ამიტომ კვირიკაშვილი ვერ აუქმებს ამ უწყებას, – ასეთია გივი თარგამაძის მოსაზრება.

მოარულ ჭორებს თუ დავუჯერებთ, ოთარ ფარცხალაძე ბერა ივანიშვილის ახლო მეგობარია და მისი ელვისებური დაწინაურებაც სწორედ აქედან დაიწყო.

მოკლედ, ამ საქმეზე ჯერჯერობით ვერ დავწერთ, ჭირი იქა, ლხინი აქაო, რადგან სიურპრიზებით სავსე გაგრძელება აუცილებლად ექნება.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ფეისბუქ გულისაჩუყება ფარცხალაძის მიმართ, როცა ერთ-ერთ ჟურნალისტს უთხრა, ფრთხილად, არაფერი დაიზიანოო.

ამ საქმის საბოლოო დასკვნა – მილიონერ პროკურორებსაც გული ჰქონიათ.

# ირაკლი კობახიძის მარცხიანი კვირა



გასულ კვირას არანაკლებ აქტუალური იყო გადაჭედილ ფილარმონიაში კონსტიტუციის განხილვის ჩაშლა.

სხდომა კარგად ორგანიზებული არასაპარლამენტო ოპოზიციის პატრიოტულ მოტივებზე შექმნილი ლოზუნგების ფონზე მიმდინარეობდა.

სხდომა როგორც გაიხსნა, ასევე მშვიდად დაიხურებოდა, რომ არა პარლამენტის თავმჯდომარის ერთი განცხადება. მან დარბაზში შეკრებილ მეამბოხეებს კომუნისტები უწოდა. მოგვიანებით, თანაპარტიელებმა სცადეს სიტუაციის გამოსწორება და განაცხადეს, კობახიძეს სიტყვა გაექცაო.

მათი და პარლამენტის თავმჯდომარის გასაგონად უნდა ითქვას, რომ ემოციის ვერმოთოკვა მხოლოდ საწოლშია დასაშვები და ისიც არა ყოველთვის, პოლიტიკოსებს კი თმენის, ლანძღვის ატანის ვალდებულება აქვთ.

კობახიძის მოუთოკავმა ფრაზამ აღაშფოთა ჩასაფრებული ოპოზიცია.

სხდომის ჩაშლას წინ უძღოდა სტუდენტების და რამდენიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის ხმაურიანი განცხადებები.

სტუდენტთა ჯგუფი ტყიბულში 4 მეშახტის გარდაცვალებას აპროტესტებდა და ხელისუფლებას ფსევდოსოლიდარობაში ადანაშაულებდა.

– პარლამენტის სამარცხვინო თავმჯდომარე, რომელიც ილიას სახელით ახალგაზრდებს ებრძვის და კრიტიკას კომუნიზმად ნათლავს, არის პოლიტიკურად უმწიფარი, გაუნათლებელი და არასწორად დასმული თავის ადგილზე, – წერდა სოციალურ ქსელში რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი.

სკანდალის მიუხედავად, კონსტიტუციის განხილვა რეგიონებში გაგრძელდა.

– დარწმუნებული ვარ, მიუხედავად იმისა, რომ კბილებით გვიწევს იმ კარგი ცვლილებების გატანა, რაც აუცილებელი იყო, რაც იყო საჭირო, რადგან დაგვხვდა ერთ კაცზე მორგებული კონსტიტუცია. ჩვენ ამას შევძლებთ, ჩვენ ამას გავაგრძელებთ და მივიღებთ პროგრესულ, წინმავალ, ევროპული ტიპის დემოკრატიას, – განაცხადა უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.

კვირის ბოლოს კობახიძეს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდებოდა – დიმიტრი ლორთქიფანიძემ სასამართლოში უჩივლა.

ლორთქიფანიძე კობახიძეს კონსტიტუციის უხეშად დარღვევაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ირაკლი კობახიძემ 13 კვალიფიციური სუბიექტი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში ჯერ შეიყვანა, ხოლო შემდეგ კომისიის შემადგენლობიდან ამორიცხა. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, პარლამენტის თავმჯდომარის აღნიშნულ ქმედებაზე სასამართლომ შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს.

# ჰერბერტ ზალბერი: „ევროკავშირი არ აღიარებს იმ ფორმატს, რომელშიც სამხრეთ ოსეთში არჩევნები ჩატარდა“

– ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ჩვენთვის ძალიან ცხადი და აშკარა პრინციპია და მე, როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, მხარს ვუჭერ ამ პრინციპს, – ამის შესახებ ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარემ ჰერბერტ ზალბერმა ჟურნალისტებს განუცხადა.



ზალბერი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, მინისტრის მოადგილე დავით დონდუას შეხვდა.

– მადლობელი ვარ თქვენი ინტერესისთვის, რომ მოხვედით აქ. მინდა გითხრათ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემს კოლეგებთან განვიხილეთ საკითხები, რომელმაც გაგაღიზიანათ თქვენ. ამასთან დაკავშირებით მინდა განვმარტო შემდეგი: ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს ჩვენთვის ძალიან ცხადი და აშკარა პრინციპია და მე, როგორც ევროკავშირის წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, მხარს ვუჭერ ამ პრინციპს. მე ამას ყოველი შესაძლებლობისას ხაზს ვუსვამ. რაც შეეხება არჩევნებს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში, სამხრეთ ოსეთში, ევროკავშირმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ არ აღიარებს იმ ფორმატს, რომლის ფარგლებში ეს არჩევნები ჩატარდა. მე ასევე მხარს ვუჭერ ამ პოზიციას. ამავდროულად, ევროკავშირი ერთგულია, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრას. ზუსტად ამ მიზეზის გამო ევროკავშირი და პირადად მე ჩართულნი ვართ ჟენევის დისკუსიებში. ეს ჩემი მანდატის საფუძველია, – განაცხადა ჰერბერტ ზალბერმა.

როგორც ცნობილია, ზალბერი ბოლო ორი დღის განმავლობაში სოხუმში იმყოფებოდა, იქამდე კი შეხვედრები ცხინვალში გამართა. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში ჰერბერტ ზალბერი ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვს შეხვდა და აღნიშნული „პოსტის“ დაკავება მიულოცა, რასაც თბილისში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. ამ საკითხთან დაკავშირებით საგარეო უწყებაში რამდენიმე დღის წინ საქართველოში ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი დაიბარეს.

# დავით დონდუა: „ჰერბერტ ზალბერთან შეხვედრისას ჩვენი პოზიცია და შეშფოთება გამოვხატეთ“

– ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარე ჰერბერტ ზალბერთან შეხვედრისას ჩვენი პოზიცია და ჩვენი შეშფოთება გამოვხატეთ, – ამის შესახებ ჟურნალისტებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით დონდუამ განუცხადა.

დონდუა საგარეო უწყებაში ზალბერს შეხვდა.

– ჩვენ ჩვენი პოზიცია, ჩვენი შეშფოთება გამოვხატეთ და მას დეტალურად ავუხსენით საქართველოს პოზიცია ამასთან დაკავშირებით, – განაცხადა დონდუამ.

მისივე თქმით, ზალბერი სხვა თანათავმჯდომარეებთან ერთად დღეს დაბრუნდა ცხინვალიდან და სოხუმიდან, სადაც იმყოფებოდა ჟენევის მოლაპარაკებების მომავალი რაუნდის წინ.



– შეხვედრაზე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, თუ რა ნახა იმ რეგიონებში და ასევე იმ განვითარებაზე, რომელიც მოჰყვა ცხინვალში მის შეხვედრებს, – განაცხადა დავით დონდუამ.

როგორც ცნობილია, ზალბერი ბოლო ორი დღის განმავლობაში სოხუმში იმყოფებოდა, იქამდე კი შეხვედრები ცხინვალში გამართა. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისების საკითხებში ჰერბერტ ზალბერი ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტ ანატოლი ბიბილოვს შეხვდა და აღნიშნული „პოსტის“ დაკავება მიულოცა, რასაც თბილისში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. ამ საკითხთან დაკავშირებით საგარეო უწყებაში რამდენიმე დღის წინ საქართველოში ევროკავშირის ელჩი იანოშ ჰერმანი დაიბარეს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლია მუხაშავრია: „ფარცხალაძე ბედავს და თავს ესხმის გენერალურ აუდიტორს. ის საშიშია საზოგადოებისთვის“



ნათია ხურცილავა

**ადვოკატი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თორდია-ფარცხალაძის საქმეზე საუბრობს.**

***— ქალბატონო ლია, შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ინტენსიური გამოძიება მიმდინარეობს თორდია-ფარცხალაძის საქმესთან დაკავშირებით. ასევე, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირები, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე, აცხადებს, რომ უსწრაფესად უნდა დადგეს გამოძიების შედეგი. რა მოლოდინი გაქვთ?***

— გენერალური აუდიტორი ქვეყანაში არის მაღალი თანამდებობის პირი, რასაც კონსტიტუცია ადასტურებს. ის აკონტროლებს ქვეყანაში ყოველ თეთრს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა. სწორედ ეს არის მისი საქმიანობის მთავარი მიზანი და დანიშნულება. გენერალურ აუდიტორს კონსტიტუციური იმუნიტეტი იცავს თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომ ვინმემ და რამემ ხელი არ შეუშალოს.

რიგითი მოხელეც რომ ყოფილიყო ამ სამსახურში ბატონი თორდია, თუ მისი სამსახურებრივი მოვალეობის ან საქმიანობის გამო დაესხნენ მას თავს, რაც აუცილებლად გამოძიებამ უნდა გამოავლინოს, ეს ითვალისწინებს მუხლს, რომელიც კანონმდებლობაშია გაწერილი. გენერალური აუდიტორი არის იმ პოზიციაზე მყოფი პირი, რომელზე თავდასხმაც, თუ ეს მის საქმიანობას უკავშირდება, არ არის მარტივი საქმე. ამიტომ ეს არის ცალსახა, ძალიან მკაფიო და მისი გადასინჯვა და ინტერპრეტირება არ უნდა მოხდეს.

***— სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა არ გამორიცხა, რომ ალტერნატიული გამოძიების ჩატარება შეიძლება გახდეს საჭირო. თქვენც ასე მიგაჩნიათ?***

— რადგან ვხედავთ, რომ ასე მიდის პროცესი და ჯერ არ ჩანს გამოძიების შედეგები, ლოგიკური იქნებოდა, ალტერნატიული საგამოძიებო მექანიზმების გამოყენებით მოხდეს ამ ფაქტის გამოძიება.

თორდია ამბობს, რომ მას თავს დაესხნენ მისი საქმიანობიდან გამომდინარე. ეს არის აქ მთავარი, მნიშვნელოვანი საკითხი. თუ არ ვენდობით, მაშინ ჩატარდეს ობიექტური გამოძიება და გვითხრან, რა მოხდა რეალურად. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბსურდის თეატრი გამოდის და გვითხრან, როდის დავუკრათ ტაში და გავიცინოთ.

***— ლაშა თორდია აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია ოთარ ფარცხალაძის ადვოკატების განცხადება. თქვენ როგორ შეაფასებთ ადვოკატების განცხადებას, მართლაც შესაძლებელია, რომ მათ საქმე სხვა მიმართულებით წაიყვანონ, თუ ადვოკატი ვალდებულია, კლიენტის უფლება ყველა გზით დაიცვას?***

— რა თქმა უნდა, ადვოკატი მართლაც არის ვალდებული, რომ თავისი კლიენტის უფლება სათანადოდ დაიცვას ყველანაირი კანონიერი საშუალებით. ამ შემთხვევაში კომენტარი, ადვოკატების გამონათქვამების შეფასება სრულიად უადგილოა. ადვოკატს ევალება თავისი კლიენტის დაცვა. წერტილი. აქ მთავრდება შეფასება. აქ უფრო საინტერესოა საგამოძიებო ორგანოს ქმედება.

***— უსწრაფესი გამოძიება, საზოგადოების ინფორმირებულობაა გამოსავალი თუ დრო უნდა მივცეთ გამოძიებას?***

— არ მესმის, რა დრო უნდა მივცეთ. ეს ინციდენტი მოხდა იმ ადგილზე, სადაც ვიდეოკამერებია დამონტაჟებული, სადაც ირეოდა უამრავი ხალხი. ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღებას ორიოდე საათი სჭირდება. ამდენი დღე გავიდა უკვე, მაგრამ ჯერ არაფერი უთქვამს საზოგადოებისთვის გამოძიებას. ფარცხალაძე ბედავს და თავს ესხმის გენერალურ აუდიტორს. გამოდის, რომ ის საშიშია საზოგადოებისთვის.

***— თუმცა, ფარცხალაძე ამბობს, რომ ეს იყო წამიერი შეხვედრა და არანაირი დაზიანება არ მომხდარა.***

— თუ სამედიცინო მტკიცებულება არსებობს, რომ დაზიანება სახეზეა და დროის მიხედვით შეესაბამება დაზარალებულის მიერ განცხადებულ ფაქტებს, ეს არის საკმარისი მტკიცებულება, რომ დაუყოვნებლივ დაიწყოს გამოძიება. შემდეგ უკვე გამოძიება ადგენს, ეს დაზიანება ვილაცამ განზრახ ჩაიდინა, გაუფრთხილებლობით მოუვიდა თუ რა მოხდა. ამიტომ ერთვება ხოლმე გამოძიების დროს ექსპერტიზა.

ამ შემთხვევაშიც დადგეს საკითხი ექსპერტიზის წინაშე, არსებულ კითხვებს გაეცეს პასუხები. მაშინ არავის დარჩება არცერთი კითხვა, მაგრამ, როდესაც ეს არ კეთდება ან ყოვნდება, სწორედ ეს იწვევს ყველაზე მეტ ეჭვს.

გამოძიება მომლოდინე სახელმწიფო სამსახურია თუ რა? გამოძიება ვალდებულია, დასვას კითხვები, მიიღოს პასუხები და ამ პასუხების მიხედვით იმოქმედოს კიდეც.

---

გულიკო ბალაძე

# ჯემალ გამახარია: „რუსეთმა აფხაზეთის ანექსიისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა“

**აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან" სოჭში, რუსეთის ფედერაციის შს მინისტრის მოადგილესა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ე.წ. შს მინისტრის შორის დადებულ ხელშეკრულებას აანალიზებს.**



**ჯემალ გამახარია:**

— სოჭში დე ფაქტო აფხაზეთის შს მინისტრმა ასლან კობახიამ და რუსეთის ფედერაციის შს მინისტრის მოადგილემ იგორ ზუბოვმა ხელი მოაწერეს ე.წ. შეთანხმებას „შს ორგანოების ერთობლივი საინფორმაციო, საკოორდინაციო ცენტრის ფორმირებისა და საქმიანობის წესის შესახებ“.

***— ეს რას ნიშნავს?***

— კიდევ ერთი ძალიან დიდი ნაბიჯი გადაიდგა აფხაზეთის ანექსიის გზაზე. ანექსია დიდი ხანია დაიწყო, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ე.წ. სამშვიდობო ძალები იდგნენ აფხაზეთში. ანექსიის გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 2014 წლის 24 ნოემბერს დადებული ე.წ. ხელშეკრულება „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“, საიდანაც გამომდინარეობს ახლა ხელმოწერილი ე.წ. შეთანხმება.

2014 წლის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ასეთი ორგანოს შექმნას. 2014 წლის ხელშეკრულება ითვალისწინებდა შარშან ნოემბერში გაფორმებულ ხელშეკრულებას „სამხედრო დაჯგუფების შექმნის შესახებ“, რომლის რატიფიკაცია შარშანვე მოახდინეს. ეს არის აფხაზეთის ანექსიის გეგმა.

ხელშეკრულება გამოქვეყნებულია და ნებისმიერს შეუძლია გაეცნოს. გამიკვირდა, აფხაზურმა მხარემ ასეთ დოკუმენტს ხელი როგორ მოაწერა.

***— ეს კობახია რა ცნობიერების ადამიანია? ქართული გვარის კაცს ჰგავს.***

— გვარი კი აქვს ქართული, როგორც ჩანს, კი არის კობახიძე.

***— კობახიძე თუ კობახია?***

— ერთი და იგივეა. თუ სამეგრელოში კობახიძეები არიან, იქით, აფხაზეთში კობახიებია, გააფხაზებული. ეს ადამიანი აწერს ხელს ე.წ. შეთანხმებას. მას ჰქონდა პრესკონფერენცია. ბატონი კობახია არაადეკვატური მეჩვენა, რომელიც პრესკონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას არწმუნებდა, რომ აღნიშნული ცენტრი ნარკობიზნესთან საბრძოლველად იქმნება. სინამდვილეში ხელშეკრულებას ერთვის დებულება, სადაც მხოლოდ ნარკობიზნესზე არ არის საუბარი. დებულებაში საუბარია ორგანიზებულ დანაშაულსა და სხვა სახის საშიშ დანაშაულებზე.

ამ „სხვა სახის დანაშაულში“ აბსოლუტურად ყველაფერი იგულისხმება. ის ადამიანები, რომლებიც ჩამოვლენ აფხაზეთში ახლად შექმნილ საინფორმაციო, საკოორდინაციო ცენტრში სამუშაოდ, ისარგებლებენ დიპლომატის სტატუსით. არსებობს ვენის კონვენცია დიპლომატიური ხელშეუხებლობის შესახებ, 1961 წლის 19 აპრილს ხელმოწერილი, რომელშიც ნათლად არის აღწერილი, რას ითვალისწინებს იმუნიტეტი დიპლომატებისთვის და იქ მომსახურე პერსონალისთვის. როგორც დიპლომატები სარგებლობენ იმუნიტეტით, ასევე ისარგებლებენ რუსეთიდან აფხაზეთში, ამ ცენტრში სამუშაოდ ჩამოსული ადამიანები დიპლომატის იმუნიტეტით.

მათი გაჩხრეკა, დაპატიმრება არავის შეუძლია. მათ ბინაში ვერავინ შევა. მათი არქივები, დოკუმენტები, კორესპონდენციები, განცხადებები ცენზურას არ ექვემდებარება, მათი შემოწმება არავის შეუძლია. ფაქტობრივად, აფხაზეთის რეგიონში რუსული სახელმწიფო სტრუქტურები იქმნება და მთელი აფხაზეთი მათ ხელში გადადის. ეს მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა.

შეგიძლიათ გადახედოთ სოციალურ ქსელებს — მთელი აფხაზური საზოგადოება აღშფოთებულია. ყველა წერს, ეს რა ხდება, რას მოვაწერეთ ხელი, ჩვენ არავითარი დამოუკიდებლობა არ გვაქვს, ტყუილად ვიომეთ, დავიღუპეთ და ა.შ.

ძალიან კარგი იქნებოდა, ამას თავის დროზე მიმხვდარიყვნენ. აღნიშნული „შეთანხმება“ დამოუკიდებლობის ყოველგვარ ჩანასახს ძირს უთხრის. არავითარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ადგილი ამ ორგანოს შექმნის შემდეგ არ რჩება. დე ფაქტო პრეზიდენტს არ აქვს იმდენი უფლებამოსილებები, რამდენიც ამ ე.წ. საკოორდინაციო ცენტრს. რამდენი თანამშრომელი და კიდევ რამდენი დამხმარე პერსონალი ეყოლება ცენტრს, დებულებაში არ წერია. ამ დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთი, ფაქტობრივად, რუსეთის ხელში გადადის.

***— ვენის კონვენციითვე, აფხაზეთში ჩამოსული, დიპლომატიაზე თავშეფარებული ადამიანებისთვის პრობლემების შექმნა არ შეგვიძლია?***

— მათი რამენაირი კონტროლი გამორიცხულია.

***— აფხაზეთს ჩვენ ისედაც ვერ ვაკონტროლებთ, მაგრამ ვენის კონვენცია არ იძლევა საშუალებას, ცრუ დიპლომატებს, დიპლომატიას თავშეფარებულ ოკუპანტებს ჩვენმა სახელმწიფომ პრობლემები შეუქმნას?***

— რასაკვირველია. ვენის კონვენციის გარეშეც შეიძლება მათთვის პრობლემების შექმნა. მათი მხრიდან ადგილი აქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შელახვის მორიგ მცდელობას. აფხაზეთში არ მოქმედებს საერთაშორისო სამართალი. მათ წინააღმდეგ მოქმედებს საქართველოს კანონი. ისინი არღვევენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

მართალია ჩვენი იურისდიქცია არ ვრცელდება და, რეალურად, პირდაპირ პასუხს ვერ მოვთხოვთ, მაგრამ მათ წინააღმდეგ უნდა აღიძრას საქმე, როდესაც ისინი ჩამოვლენ და მათი ვინაობა გაირკვევა. სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას რუსეთის ე.წ. ელჩის (რომელიც ზის სოხუმში), იმ სამხედრო ძალებისა და მისი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ (ე.წ. სამხედროები მყავს მხედველობაში, რომლებიც აფხაზეთს აკონტროლებენ), ე.წ. მესაზღვრეების (რომლებიც ცდილობენ საზღვარი დააფიქსირონ) წინააღმდეგ და მათი გვარები ინტერპოლს უნდა გადავცეთ, მათ წინააღმდეგ საერთაშორისო ძებნა უნდა გამოცხადდეს. ვითომ დამოუკიდებლობანას თამაშობენ. ისინი დამნაშავეები არიან, ამიტომ უნდა გადაეცნენ ინტერპოლს.

მხოლოდ განცხადებებით შემოფარგვლა საკმარისი არ არის. ძალიან კარგი განცხადებები გააკეთეს, განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ, მაგრამ საკმარისი არ არის. დამნაშავე ადამიანებზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას და საქმეში ინტერპოლი ჩაერთოს.

***— რუსეთის თავაშვებულობა იმითაც ხომ არ არის განპირობებული, რომ საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციაში, როგორიც არის ევროკავშირი, ზალბერისთანა დიპლომატები სხედან?***

— აქ ჩვენ მრავლობით რიცხვში ვერ ვისაუბრებთ. ჰერბერტ ზალბერის განცხადება ცხინვალში ნამდვილად აღმაშფოთებელია. ცინიკური განცხადებაა, რაც ევროკავშირისთვის შეუსაბამოა.

***— ასეთი აზრიც კი გაჩნდა, თუ ეს არის ევროპის აზრი, რად გვინდა ასეთი ევროპა?***

— ეს არ არის ევროპის აზრი, ზალბერის აზრი არის სრულიად შეუსაბამო ევროკავშირის პოზიციასთან. კრიზისის საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენელი იყოს.

***— თქვენ არ სვამთ მისი გაძევების საკითხს?***

— ჩვენც, საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გავაკეთეთ განცხადებები და, ალბათ, გაძევებული იქნება. ძალიან მინდა მჯეროდეს, რომ ეს ადამიანი მართლა იქნება გაძევებული საქართველოდან.

***— პირველ რიგში, ზალბერი ჟენევის დისკუსიებს უნდა ჩამოშორდეს.***

— მართალია. ზალბერი იმიტომ მონაწილეობს ჟენევის დისკუსიებში, რომ სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელია. ამიტომ უნდა იქნას აქედან გაძევებული. არაფერი ესაქმება მას ჟენევის დისკუსიებში.

***— ზალბერი წარმოშობით აღმოსავლეთ ევროპიდანაა თუ დასავლეთიდან?***

— ზალბერი საკმაოდ კარგად საუბრობს რუსულად. რუსეთში მუშაობდა. რუსეთთან მისი კავშირების მოძებნა ჩემს უფლებამოსილებაში არ შედის, მაგრამ ფაქტია, რომ ზალბერი ემსახურება სეპარატისტებისა და ოკუპანტების საქმეს და არა — კონფლიქტების დარეგულირებას.

***— ეს ადამიანი ხომ არ არის აღმოსავლეთ გერმანიიდან და ხომ არ წარმოადგენს რუსეთის კგბ-ს?***

— ამას მე ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ.

---

## არჩილ თალაკვაძე: „ხელისუფლება სახალხო დამცველის რეკომენდაციის იგნორირებას არ აპირებს“



— ხელისუფლება სახალხო დამცველის რეკომენდაციის იგნორირებას არ აპირებს. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ პარლამენტში ომბუდსმენის ანგარიშის მოსმენის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, სახალხო დამცველი პარლამენტის კონტროლის მექანიზმია და ხელისუფლებას ეს კარგად ესმის.

— მთელი დღეა რეპლიკებს ვისმენ ომბუდსმენის ანგარიშთან დაკავშირებით. მგონი, გიორგი კანდელაკს დაავიწყდა, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი, რომ პარლამენტს სახალხო დამცველის ანგარიშები მოესმინა და განეხილა. თქვენ სახალხო დამცველს ღამღამობით უსმენდით, როცა ხალხი არ იყო. შემდეგ ცნობად ილებდით ანგარიშებს და თაროებზე ასაწყობებდით. მოვიდა დრო, როცა ეს ანგარიშები თაროებიდან ჩამოიღეს. ქალბატონმა ელენემ იმ პრობლემების შესახებ ბრძანა, რაც ანგარიშებში იყო და უნდა გაგეთვალისწინებინათ. გაკვეთილები ძალიან მნიშვნელოვანია და ვინც გაკვეთილებს ითვალისწინებს, წინ მიდის და ბევრად უფრო მალე ვითარდება. სახალხო დამცველის რეკომენდაციების იგნორირებას არ ვაპირებთ. სახალხო დამცველი ჩვენი პარლამენტის კონტროლის მექანიზმია და ეს ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, — აღნიშნა თალაკვაძემ.

# „ციანიდის საქმეში არის მტკიცებულებები ინტიმური დეტალებით“

შორენა მარსაგიშვილი

**ციანიდის საქმის გარშემო სკანდალები არ წყდება. საქმის არსებითი განხილვა სკანდალით დაიწყო და დეკანოზ გიორგი მამალაძის პროტესტით დასრულდა.**

19 მაისს მან სასამართლოს დატოვებისკენ თავის ადვოკატებსაც მოუწოდა, რომლებმაც მისი სურვილი შეასრულეს. ამის გამო დეკანოზს სახაზინო ადვოკატი დაენიშნა.

– ბრალდებულის უფლებებს მომდევნო სხდომაზე სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატი დაიცავს, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

ამ საქმეზე პირველი მოსამზადებელი სხდომა 5 მაისს გაიმართა. პროკურატურამ სასამართლოს სხდომის დახურვა მოითხოვა. საგამოძიებო უწყების თქმით, საქმის ღია განხილვა საპატრიარქოს იმიჯს დააზარალებდა.

საპატრიარქოზე ასეთი ზრუნვა არამიზანშეწონილად მიიჩნია საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ. მისი თქმით, საპატრიარქოს დასამალი არაფერი აქვს.

ედიშერ ქარჩავა საპატრიარქოს სახელით 19 მაისსაც საქმის ღია განხილვას ითხოვდა, მაგრამ პროკურატურამ ამჯერადაც გაიგიჟა თავი, სხდომის დახურვის აუცილებლობა კი საქმეში არსებული ინტიმური დეტალების არსებობით ახსნა.

### აქვს თუ არა პროკურატურას ინტიმური დეტალის შემცველი ვიდეომასალა

სკანდალური განცხადება საქმის ერთ-ერთმა პროკურორმა ვლადიმერ ვექილიანმა გააკეთა. მისი თქმით, პროკურატურის ხელთ არსებული მტკიცებულებები ინტიმურ დეტალებს შეიცავს.

– საქმეში არსებობს აუდიო, ვიდეო და წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც მათ შორის მესამე პირს ეხება და რომლებიც შეიცავს როგორც პერსონალურ ინფორმაციას, ასევე, ხშირ შემთხვევაში – ინტიმურ დეტალებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა განაცხადა, თითქოს მას დასამალი არაფერი აქვს, არსებობს ასევე მესამე მხარის, საზოგადოების ინტერესები და ჩვენ ვერ ვისაუბრებთ გიორგი მამალაძის პირად ცხოვრებაზე ღიად.

ასევე ცალკე მიმდინარეობს ძიება ბრალდებულის შესაძლო თანამზრახველების გამოსავლენად. გამოძიების დაწყების მომენტიდან პროკურატურამ ამ საქმეზე ინფორმაციის გამჟღავნება შეზღუდა, – განაცხადა პროკურორმა ვექილიანმა.

ინტიმური დეტალების შემცველი მტკიცებულებების შესახებ გაკეთებულ განცხადებას როგორც სასამართლოს სხდომაზე, ასევე საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა.



„ივანიშვილი გავლენიან მიტროპოლიტებზე კომპრომატების მოპოვებას ცდილობს“

საგამოძიებო უწყებაში მიხვდნენ, რომ რაღაც კარგად ვერა თქვეს და საქმის მეორე პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა ყველაფერი ადვოკატებს დააბრალა.

თუმცა მანამდე ადვოკატებმა პროკურატურა უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდეს და მამა გიორგის დაშანტაჟების მცდელობა დასდეს ბრალად.

– ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც პროკურატურა ემუქრება ბრალდებულს პირადი ანუ პერსონალური ინფორმაციით. ეს არის შანტაჟი. მისი პირადი ცხოვრება არის მხოლოდ მისი ოჯახი. ასეთი მტკიცებულება საქმეში არც დევს, – განაცხადა მამა გიორგის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ.

განცხადება გააკეთა თავად დეკანოზმაც.

– ვეთანხმები ადვოკატებს. დასამალი არაფერი მაქვს. ჩვენ განვიხილავთ აქ ჩემი, როგორც მოქალაქის თუ სასულიერო პირის ცხოვრებას? ჩემი მხრიდან მკვლელობის მომზადებას თუ ჩემს პირად მიმოწერას? მზად ვარ, თუ თქვენ ამას გადაწყვეტთ, ბატონო მოსამართლე, ჩემი პირადი მიმოწერა გასაჯაროვდეს. დასამალი არაფერი მაქვს. არა არს დაფარული, რომელი არა გაცხადდეს, – მიმართა დეკანოზმა მოსამართლეს.

საქმის მეორე პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმა საქმეში რაიმე ინტიმური დეტალების არსებობა უარყო. მისი თქმით, ეს ყველაფერი ადვოკატების მოგონილია.

– ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ადვოკატები ტირაჟირებენ სიცრუეს, თითქოს ჩვენ ინტიმური ვიდეომასალით ვაშანტაჟებთ ბრალდებულს. ეს არის მორიგი სიცრუე მათი მხრიდან. არავითარი ინტიმური ვიდეომასალა საქმეში არ არსებობს, მსგავსი არაფერი თქმულა.

ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ საქმეში არის ბრალდებულ გიორგი მამალაძისა და მესამე პირების გარკვეული სახის პირადი ინფორმაცია. ადვოკატების მხრიდან ხელოვნურად დამახინჯება იმისა, რომ ჩვენ მსგავსი ვიდეოებით ვიღაცას ვაშანტაჟებთ, ეს, ეტყობა, არის მათი სტრატეგია, რომ რაიმე გავლენა მოახდინონ დარბაზსა ან ჟურნალისტებზე, რათა თქვენ არასწორად გააშუქოთ პროცესი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ჯარჯი წიკლაურმა.

სასამართლო სხდომას ესწრებოდა ყოფილი დეპუტატი კახა კუკავა. მისი თქმით, ჯარჯი წიკლაური ცრუობს.

– იქ ვიყავი და თავად მოვისმინე პროკურორ ვექილიანის განცხადება. მან პირდაპირ თქვა, რომ პროკურატურის ხელთ არსებული მტკიცებულებები შეიცავს ინტიმურ დეტალებს, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში კახა კუკავამ.

### სახაზინო ადვოკატი დეკანოზისთვის

პროკურატურის მოთხოვნა სხდომის დახურვასთან დაკავშირებით სასამართლომ ამჯერადაც დააკმაყოფილა, რასაც ადვოკატებისა და დეკანოზის პროტესტი მოჰყვა. მამა გიორგი მამალაძემ პროტესტის ნიშნად სასამართლო სხდომა დატოვა და ადვოკატებსაც სხდომის დატოვებისკენ მოუწოდა. ადვოკატებმა მისი თხოვნა გაითვალისწინეს.

ადვოკატი გიორგი ფანცულაია ამბობს, რომ მათ სწორი გადაწყვეტილება მიიღეს.

– მე დავტოვე სხდომა და მიმაჩნია, რომ ეს ერთჯერადია. დეკანოზი შემდეგ პროცესზე დაბრუნდება თუ არა, არ ვიცი. ჩვენ უფლება არ გვქონდა, დავრჩენილიყავით. ეს პროტესტი გამოწვეული იყო იმ უკანონობით, რაც ხდებოდა პროცესზე. მამალაძე ვერ გატეხეს იმ მუქარით, რომელიც პირად ცხოვრებას შეეხებოდა და ვერც ბრალის დამძიმებით. ახლა ერთადერთი გზა დარჩათ, დახურონ პროცესი, რათა გამოიტანონ სასურველი გადაწყვეტილება, – განაცხადა ადვოკატმა.

ადვოკატების პროტესტმა პროკურატურა აღაშფოთა. ჯარჯი წიკლაურმა ჟურნალისტებს შესჩივლა, რომ დაცვის მხარე საქმის გაჭიანურებას ცდილობს.

– მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს ადვოკატები არ იცავდნენ კლიენტის ინტერესებს და მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს დარბაზი, დაარღვიეს პროცედურები. მათ არ დაიცვეს სამართლებრივი პროცედურები, ამის შემდეგ მოსამართლემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თუ ეს ადვოკატები გააგრძელებენ პროცესის გაჭიანურებას და თავს აარიდებენ მართლმსაჯულებას, დეკანოზ მამალაძეს დაენიშნება სახაზინო ადვოკატი და სასამართლო პროცესი ჩვეულებრივ გაგრძელდება, – აღნიშნა ჯარჯი წიკლაურმა.

ადვოკატების მიერ სასამართლო სხდომის დატოვების გამო ეთიკის დარღვევას ადვოკატთა ეთიკის კომისია განიხილავს.

კახა კუკავა ფიქრობს, რომ პროკურატურა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მამა გიორგის ეს ადვოკატები ჩამოაცილოს.

– შეიქმნა ადვოკატების ძალიან კარგი გუნდი. გიორგი ფანცულაია და მისი მეუღლე მია ზოიძე ძალიან კარგად უძღვებიან ამ საქმეს. ისინი პროკურატურის არგუმენტებს აცამტვერებენ. რაც შეეხება მიხეილ რამიშვილს, მისმა ხისტმა პოზიციამ კარგი შედეგი გამოიღო – პროკურატურამ ველარ შეძლო ადვოკატების დაშანტაჟება.



ადვოკატი: „პროკურატურა დეკანოზს აშანტაჟებს“

მათი კარგი მუშაობა ხელს უშლის პროკურატურას. ისინი შეეცდებიან, მამა გიორგის ისეთი ადვოკატი დაუნიშნონ, რომელიც მათზე იმუშავებს და საპროცესო შეთანხმებამდე მიიყვანს საქმეს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში კუკავა.

### შემდეგი გაჩერება სტრასბური

ყოფილი დეპუტატი მიიჩნევს, რომ, პროკურატურის მცდელობის მიუხედავად, სიმართლე მაინც გაიმარჯვებს.

– ივანიშვილის ხელისუფლება იმდენად ძირმომპალია, რომ იმედი მაქვს, სასამართლოზე ზეწოლას ბოლომდე ვერ შეძლებს. ამის გარდა, არის სტრასბურის სასამართლო და როგორც რუსთავი 2-ის გადაწყვეტილება გადაახია „ოცნებას“ თავზე, ასევე მოხდება მამა გიორგის შემთხვევაშიც, – აღნიშნავს კუკავა.

მისი თქმით, სააკაშვილის ხელისუფლების დროსაც კი უფრთხოდნენ პროკურატურა და სასამართლო ისეთ საქმეებს, რომლებაც სტრასბურის პერსპექტივა ჰქონდათ.

კუკავა ამბობს, რომ ციანიდის საქმით პირადად ბიძინა ივანიშვილია დაინტერესებული.

– ივანიშვილის მოთხოვნა ასეთია – რამდენიმე მიტროპოლიტს შეუკერონ საქმე, რის შემდეგაც ის შეძლებს საპატრიარქოს გაკონტროლებას. ამისათვის საჭიროა, გავლენიანი მიტროპოლიტები კომპრომატებით ჰყავდეს დაჭერილი. შესანიშნავი კომპრომატი იქნება, თუ დეკანოზი მათთვის სასურველ ჩვენებას მისცემს, – ამბობს ყოფილი დეპუტატი.

სასურველი ჩვენება კი, კუკავას ვარაუდით, ასე გამოიყურება:

– ცდილობენ, მამა გიორგის ათქმევინონ, რომ ის მეუფე დიმიტრისთან და კიდევ რამდენიმე მიტროპოლიტთან ერთად მოქმედებდა. ამ ჩვენებას, ცხადია, საჯაროდ არ გამოიტანენ და ამიტომაც ითხოვენ სასამართლოს დახურვას.

სასურველი ჩვენების მიღების შემდეგ მამა გიორგი მამალაძეს საპროცესოთი გაათავისუფლებენ, მეუფე დიმიტრის საქმეს კი თაროზე შემოდებენ. საქმეების თაროებზე შემოდება საგამოძიებო უწყებას სჩვევია.

ყოფილი დეპუტატის თქმით, თაროზე შემოდებული საქმით მეუფე დიმიტრის მართვას შეეცდებიან.

– ეტყვიან, წყნარად იქნები? საქმე თაროზე იდება. არ იქნება წყნარად? საქმეს მიეცემა მსვლელობა. ჩემი დაკვირვებით, ეს არის ამ საქმის მთელი კონტექსტი, – მიიჩნევს კუკავა.

მისი თქმით, ამ საქმისთვის პოლიტიკურად მოტივირებული პროკურატურა მოუმზადებელი იყო. პროკურატურას მამა გიორგი მამალაძის წინააღმდეგ მტკიცებულებებიც კი არ აქვს.

– თავის დროზე ვახო კომახიძემ ბადრი პატარკაციშვილის საქმეზე გადაიღო ძალიან კარგი დოკუმენტური ფილმი, სადაც ჩანს, თუ როგორ არის ხანგრძლივი საუბრებიდან დადგმული ჩანაწერები.



დეკანოზ მამალაძეს სახაზინო ადვოკატი დაუნიშნეს

როცა მამა გიორგი მამალაძე ციანიდსა და შორენა თეთრუაშვილზე საუბრობს, ეს არის სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა ადგილას შემდგარი საუბრის პატარა ფრაგმენტი. პროკურატურამ ეს ფრაგმენტები გადააბა ერთმანეთს, როგორც ამას ადეიშვილის პროკურატურა აკეთებდა.

საზოგადოებას, რომელიც ამ ნიუანსებში გარკვეული არ არის, ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს მამა გიორგი შორენას ციანიდით მოწამვლას აპირებს, – ამბობს ყოფილი დეპუტატი.

კუკავა დარწმუნებულია, რომ ამას ადვოკატების გუნდიც დაამტკიცებს, თუმცა დეკანოზ გიორგი მამალაძის უფლებებს სახაზინო ადვოკატი დაიცავს.

კახა კუკავას თქმით, ამაზე პროკურატურამ თავიდანვე დაიწყო მუშაობა და მას რამდენიმე უფლებადამცველიც ეხმარებოდა, რომლებიც დეკანოზს პირდაპირ მოუწოდებდნენ, ადვოკატები შეეცვალა.

# ნონა წოწორია: „ჩემი ძმის სახლში ჩატარებული ჩხრეკა მე მიკავშირდება“

შორენა მარსაგიშვილი

## „ხელისუფლება გადასულია პოლიტიკურ ტერორზე“





**საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთ სკანდალში გაეხვია. სტრასბურის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მოსამართლის, ნონა წოწორიას ძმის, ოთარ წოწორიას სახლში ჩატარებული ჩხრეკა ოპოზიციამ პოლიტიკურ დევნად შეაფასა.**

ამ მოსაზრებას იზიარებს თავად ნონა წოწორიაც. ის დარწმუნებით აცხადებს, რომ ოთარ წოწორიას სახლში ჩატარებული ჩხრეკა მის საქმიანობას უკავშირდება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბათუმში, ოთარ წოწორიას სახლში ჩხრეკა 18 მაისს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩაატარა. სამართალდამცავების განმარტებით, ჩხრეკას ადვოკატიც ესწრებოდა.

შსს-ს ინფორმაციით, სახლიდან ამოღებულია პისტოლეტი და სხვადასხვა კალიბრის ვაზნები. საქმეზე დანიშნულია ექსპერტიზა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, დამზადებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს.

ოთარ წოწორიას აზრით, მის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკა მისი დის საქმიანობას უკავშირდება და მომხდარს ანგარიშსწორებად აფასებს.

ჟურნალისტებთან საუბარში გაჩხრეკილმა წოწორიამ განაცხადა, რომ ჩხრეკისას ამოღებული ორი სანადირო თოფი მას ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი არსენალი აქამდე თვალით არსად უნახავს.

— სანადირო თოფები ნამდვილად ჩემია, რეგისტრირებულია, დანარჩენი წარმოუდგენელია, საიდან გაჩნდა ჩემთან. ჩვენი სახლი არ იკეტება, ოჯახს არ ვტოვებთ 24 საათის განმავლობაში, უბრალოდ, სიმამრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რვა დღე სახლი იყო უკონტროლოდ. ყველაფერი ჩემი დის საწინააღმდეგოდ არის გაკეთებული. ალბათ, ანგარიშსწორებაა, — ამბობს ოთარ წოწორია.

ჩხრეკას იმ ღამესვე გამოეხმაურა ოთარ წოწორიას მეორე და, ეთერ წოწორია. ისიც ანგარიშსწორებაზე საუბრობს და აცხადებს, რომ საქართველოში სამართალი აღარ არსებობს.

— მე, როგორც ნონას და ოთოს დას, მიჩნდება პროტესტი, საქართველოს შვილი მერქვას. პატიოსანი და მშრომელი ხალხი თუ ასეთი ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდება, რომელ სამართლიანობაზე და, მით უმეტეს, სამართლიანობის აღდგენაზეა ლაპარაკი ჩვენს ქვეყანაში. ეს ყველაფერი ბლეფია, როგორც ყველაფერი დანარჩენი საქართველოში.

ნახონ ჩემი ძმის ხელები და მერე ბოტასების ქურდების ხელებიც ნახონ. ნონა თუ ადეიშვილის მოადგილე იყო, ეს დანაშაულია? როდესაც პროკურატურაში მუშაობდა, ვინმე დაინტერესდა, ნონა სახლში როდის მიდიოდა? რატომ ჰქონდა ფეხსაცმელი და ტანსაცმელი მუდამ სამშენებლო მტვრით დასვრილი?! იმიტომ, რომ ააშენეს ქვეყანა და ჩაბარდათ ამათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. ჩემო დაო!! საქართველო და ქართველები არ ყოფილან შენი შრომის ღირსი და ღმერთს ვთხოვ, შენი ყოველი გათენებული ღამე ამათ ძმრად ამოდინდეთ და არ შეერგოთ სავარძლებში თბილად ჯდომა, — წერს ეთერ წოწორია სოციალურ ქსელში.

ფეისბუქის მეშვეობით აკეთებს განცხადებას ნონა წოწორიაც.

ის ამბობს, რომ სრული საფუძველი აქვს იმის სათქმელად, რომ ჩხრეკა მის საქმიანობას უკავშირდება.

— მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, ა.წ. 18 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით თავს ვალდებულად მივიჩნევ განვაცხადო შემდეგი:

18 მაისს, დაახლოებით 19 საათზე, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ჩხრეკა ჩაატარეს ქ. ბათუმში ჩემი ოჯახის კუთვნილ სახლში, სადაც ცხოვრობენ ჩემი ძმა, რძალი და ძმისშვილები. შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ამოღებულია პისტოლეტი და ვაზნები. ამ ნივთების წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია და, შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენენ ჩემი ძმის ან ჩემი ოჯახის რომელიმე სხვა წევრის საკუთრებას. აქვე აღვნიშნავ, რომ ჩემს ძმას არასდროს ჰქონია კანონთან რამე პრობლემა და არ არის ნასამართლევი. ჩემი ოჯახისთვის თავისუფლება, პატიოსნება, შრომისმოყვარეობა და კანონმორჩილება ყოველთვის იყო, არის და იქნება მთავარი ღირებულებები.

მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ აღნიშნული ქმედებები უკავშირდება ჩემს საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში. მსურს განვაცხადო, რომ ვერაფერი მოახდენს გავლენას ჩემ მიერ სამოსამართლეო ფუნქციების განხორციელებაზე და კვლავაც შევიტან წვლილს საქართველოში დემოკრატიის და ადამიანის უფლებების განმტკიცების საქმეში, — ნათქვამია განცხადებაში.

* * *

ბათუმში ჩატარებულ ჩხრეკასთან დაკავშირებით ეჭვები აქვს პარლამენტის ვიცე-სპიკერ ირმა ინაშვილს. გამოძიების დასრულებამდე მას კომენტარების გაკეთება უჭირს, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ ეს ნონა წოწორიას საქმიანობას უკავშირდებოდეს.

— სასამართლო დღეს არ არის თავისუფალი ხელისუფლების წნეხისგან — ეს ფაქტია. სასამართლო სახე დღეს არის მურუსიძე, ჩინჩალაძე. ეს არის აბსოლუტური ნონსენსი და გაუგებრობა. ამიტომ, ასეთ ნიუანსებს არ გამოვრიცხავ, რომ იყოს ვთქვათ, ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ, ამ კონკრეტულ ფაქტზე არ შემიძლია კომენტარის გაკეთება, გამოძიების შედეგების მიღებამდე, — აღნიშნა პოლიტიკოსმა.

თავისი წილი შეშფოთება გამოხატა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი აბაშიშვილმა. მისი თქმით, კატეგორიულად დაუშვებელია ნებისმიერ მოსამართლეზე ზეწოლა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამოძიების დასრულებას ელოდებიან, ამასთან, პირობას დებენ, რომ საქმე კონტროლზე ექნებათ აყვანილი.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ზოგადად, კატეგორიულად დაუშვებელია ნებისმიერ მოსამართლეზე ზეწოლა მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. ჩვენ გავეცანით მათ შორის ოჯახის წევრების განცხადებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საქმეში არ გაჩნდეს არც ერთი კითხვის ნიშანი რაიმე ფორმით და აქედან გამომდინარე, ჩვენ აღნიშნული საქმის მიმდინარეობას ყველა ეტაპზე უკიდურესად დიდი ყურადღებით დავაკვირდებით, — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში გიორგი აბაშიშვილმა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ზაზა ბიბილაშვილი ამბობს, რომ ჩხრეკა რუსთავი 2-ის და იმ საქმეებს უკავშირდება, რომელთაც ნონა წოწორია ევროსასამართლოში განიხილავს.

ბიბილაშვილის თქმით, მიმდინარე განხილვადი საქმეები ხელისუფლებას დისკომფორტს უქმნის და „ქართული ოცნება“ ცდილობს, გარკვეული ზეწოლა მოახდინოს მოსამართლეზე.

— ნონა წოწორია იხილავს მთელ რიგ საქმეებს, რომლებიც დისკომფორტის მომტანია ხელისუფლებისთვის და, შესაბამისად, ეს არის მორიგი სადამსჯელო ოპერაცია. რუსთავი 2-ის საქმე ხელისუფლებისთვის ალბათ პირდაპირ და ერთმნიშვნელოვნად ყველაზე უფრო დიდი დისკომფორტის მომგვრელია. ეს არის დასტური იმისა, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები იმის მაგივრად, რომ თავის საქმით იყვნენ დაკავებულნი, პირდაპირ არიან გადასული პოლიტიკურ ტერორზე, ივანიშვილის ოჯახის მომსახურებაზე, — აცხადებს ზაზა ბიბილაშვილი.

* * *

ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ თემაზე საუბარი არ ისურვეს. მხოლოდ რამდენიმე აღმოჩნდა გამონაკლისი. ერთ-ერთი მათგანი ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ჯეჯელავა იყო.

ის არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ბათუმში ჩატარებული ჩხრეკა ანგარიშსწორება იყო. ვიცე-პრემიერი წოწორიების განცხადებებს უსაფუძვლოს უწოდებს.

ჟურნალისტებთან საუბარში ჯეჯელავამ განაცხადა, რომ კანონზე მაღლა ვერავინ დადგება და გამონაკლისი არც მოსამართლის ძმა იქნება.

— ყველა ადამიანს, რომელიც კანონს არღვევს, ურჩევნია, რომ რაღაც თავდაცვა მოიფიქროს და ამ შემთხვევაში, ეს არის თავდაცვის სტრატეგია. ჩვენ ვამბობთ, რომ კანონზე მაღლა არ დგას არავინ, არც მოსამართლის ძმა, არც მინისტრის ძმა და აბსოლუტურად არავინ. შესაბამისად, მე ვფიქრობ, თუ კანონის დარღვევასთან გვაქვს საქმე, ეს არის აბსოლუტურად გამართლებული, მიუხედავად იმისა, ვის ნათესავზეა საუბარი, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

# ადვოკატის რჩევები: რა უნდა გავითვალისწინოთ ქონების ჩუქებისას?



უძრავ-მოძრავი ქონების გაჩუქება გავრცელებული მოვლენაა როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებშიც, თუმცა ამ მოვლენას შეიძლება დიდი გაუგებრობაც მოჰყვეს.

ამგვარ შემთხვევებზე ადვოკატი ირაკლი უტიაშვილი გვესაუბრება:

***— ჩუქება ქონების გასხვისების ერთ-ერთი ფორმაა, ოღონდ — ნასყიდობისგან განსხვავებული.***

— ჩუქების ხელშეკრულებით ადამიანი უსასყიდლოდ გადასცემს მეორე პირს თავის საკუთრებას. იმისათვის, რომ მჩუქებელმა ქონება გადასცეს, დასაჩუქრებულის თანხმობაა საჭირო. თუ მეორე მხარე თანახმა არ არის, ასეთ ჩუქებას ძალა არ ექნება. შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, ჯობია მხარეებმა ხელშეკრულება გააფორმონ. თუ საკითხი უძრავ ქონებას ეხება, ამ შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულება აუცილებლად უნდა გაფორმდეს, ან ჩუქების აქტი ნოტარიუსმა უნდა გააფორმოს. თუ უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულება სანოტარო წესით არ არის გაფორმებული, მას იურიდიული ძალა არ ექნება და საჯარო რეესტრში ვერ დარეგისტრირდება. ჩუქების ხელშეკრულებას მხარეებმა შეიძლება ხელი მოაწერონ საჯარო რეესტრში. ეს ორგანო დაარეგისტრირებს ქონებას ან ნივთს მიმღების სახელზე, როგორც ეს ნასყიდობის შემთხვევაში ხდება. რაც შეეხება მოძრავ ქონებას — ტექნიკას, ავტომობილს, ან სხვა ნივთებს, მათი ჩუქების შემთხვევაში წერილობითი ხელშეკრულების გაფორმება სავალდებულო არ არის.

***— რა შემთხვევაში არა აქვს ადამიანს ქონების გაჩუქების უფლება?***

— ადამიანს ქონების გაჩუქების უფლება არა აქვს, თუ ამით საარსებო წყაროს უსპობს მის კმაყოფაზე მყოფ პირს. თუ ამ ქონებით გამჩუქებელი და მის კმაყოფაზე მყოფი ერთი ან რამდენიმე პირი საარსებო წყაროს იღებს, მას უფლება არა აქვს, ქონება გააჩუქოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმას, ვინც გამჩუქებლის კმაყოფაზეა, უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს და ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვოს. დავუშვათ, ადამიანს აქვს ბინა, რომელსაც აქირავებს და ამ ფულით არასრულწლოვან, შრომისუუნარო შვილს ინახავს, მაშინ უფლება არა აქვს, რომ ეს ბინა გააჩუქოს.

***— ბატონო ირაკლი, კიდევ რა გაუგებრობებს აქვს ადგილი ქონების გაჩუქებისას?***

— ზოგჯერ ჩუქება ფიქტიურია: ჩვენს პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ქონებას ოჯახის წევრებს ჩუქნიან ვალდებულების თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, ადამიანს აქვს ბანკის, ან კერძო პირის ვალი, ქონება რომ არ დაუყადაღონ, ჩუქების ხელშეკრულებას აფორმებს და ამ ქონებას ოჯახის წევრს გადასცემს. მე ახლაც მყავს კლიენტი, რომელმაც ძმას თავისი ქონების ნაწილი აჩუქა. ეს ოჯახური გარიგება იყო და ჩუქება ოფიციალურად გაფორმდა, მაგრამ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მან სასამართლოში განცხადება შეიტანა და თავისი ქონების უკან დაბრუნება მოითხოვა იმ მოტივით, რომ დასაჩუქრებული ძმა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს. თუ მჩუქებელი უმადურობას გამოიჩენს გამჩუქებლის მიმართ და მას შეურაცხყოფას აყენებს, კანონი ქონების უკან დაბრუნებას ემხრობა.

***— ჩუქება შეიძლება ამის გამოც გაუქმდეს?***

— დიახ, მძიმე შეურაცხყოფის ან დიდი უმადურობის შემთხვევაში გამჩუქებელს ქონების უკან დაბრუნება შეუძლია. ისიც უნდა ითქვას, რომ ბრალდება ზოგჯერ უსაფუძვლოა, უბრალოდ, ადამიანმა აზრი შეიცვალა და თავისი ქონების უკან დაბრუნება უნდა. მთავარია, გამჩუქებელმა მხარემ სასამართლოს თავისი სიმართლე აჩვენოს და დაუმტკიცოს. 2-3 პირის მოწმედ მოყვანა ასეთ დროს ყველას შეუძლია. შეიძლება მოწმეების დახმარებითაც დამტკიცდეს, რომ მჩუქებელი მას ცუდად ექცევა, შეიძლება ვიდეოჩანაწერი ჰქონდეს, ან სხვა გზით დაამტკიცოს. უნდა იცოდეთ, რომ გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნება საჩივრის შეტანიდან 1 წლის განმავლობაში შეიძლება. 1 წლის ვადის გასვლის შემდეგ თქვენი მოთხოვნა უკვე ხანდაზმულად ჩაითვლება. გვაქვს შემთხვევები, როცა მშობელი თავის სიცოცხლეშივე ქონებას ერთ-ერთ შვილზე გააჩუქებს. მშობლის გარდაცვალების შემდეგ მეორე შვილი ჩუქების გაბათილებას ითხოვს. ამ შემთხვევაში მან უნდა დაამტკიცოს, რომ ჩუქება ფიქტიური ხასიათისა იყო, რაც საკმაოდ რთული მისაღწევია. სხვაგვარად ის მამის ქონებიდან წილს ვერ მიიღებს.

***— დასაჩუქრებულ ადამიანს საგადასახადო ვალდებულებები თუ უჩნდება?***

— რა თქმა უნდა, საჩუქრის მიმღებს საგადასახადო ვალდებულება წარმოეშობა: თუ პირველი რიგის მემკვიდრე არ არის, მან მიღებული ქონების ღირებულების 20% უნდა გადაიხადოს. მაგალითად: თუ საჩუქრად მიიღო უძრავი ქონება, რომლის ღირებულება არის 20 ათასი ლარი, საგადასახადოში 4 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს. თუ პირმა ქონება გააჩუქა პირველი-მეორე რიგის მემკვიდრეებზე — შვილებზე, დაზე, ძმაზე, მეუღლეზე, მათ საგადასახადო ვალდებულება არა აქვთ, მაგრამ თუ ქონება გააჩუქა მეგობარზე ან სხვა ნათესავზე, რომელიც არ მიეკუთვნება პირველი და მეორე რიგის მემკვიდრეებს, მაშინ ქონების ღირებულების 20% უნდა გადაიხადოს. თუ გაჩუქებული ქონების ღირებულება ათას ლარს არ აღემატება, მჩუქებელს ეს ვალდებულება ეხსნება.

***— დავუშვათ, მამაკაცმა თავისი ქონება მეორე ცოლს და მასთან შეძენილ შვილს აჩუქა. პირველ ცოლთან შეძენილ შვილებს თუ აქვთ უფლება, რომ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრონ?***

— შვილებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ჩუქება ფიქტიურია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ არა აქვთ უფლება, რომ ჩუქების ხელშეკრულება გააბათილონ. ეს სასამართლოს ძალით უნდა მოხდეს. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ჩუქებით თავის ქონებას ასხვისებს და მას უკან ველარ დაიბრუნებს, ამიტომ მოსალოდნელი შედეგები კარგად უნდა აწონ-დაწონოს და თავის დროზე გაითვალისწინოს.

# 2016 წელს აჭარის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებში შრომის ანაზღაურებაზე 12.058.202 ლარი გაიცა

**2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით აჭარის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებში გაცემული თანამდებობრივი სარგოს, პრემიის, სახელფასო დანამატის, საწვავსა და მივლინებაზე დახარჯულმა თანხის საერთო მოცულობამ 15.407.596 ლარი შეადგინა.**

ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" კვლევაშია ნათქვამი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციას საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მოცულობაზე, დანამატებისა და პრემიების გაცემის პერიოდულობასა და ზოგადად, ადმინისტრაციულ ხარჯებზე.

– ამჯერად წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში 2016 წელს თანამშრომლებზე დარიცხულ შრომის ანაზღაურების სტატისტიკას, სამართლებრივ რეგულაციას და არსებული პრაქტიკის გასაუმჯობესებლად ორგანიზაციის მიერ დამუშავებულ რეკომენდაციებს.

წინამდებარე კვლევა მოიცავს აჭარის მთავრობის აპარატში, ოთხ სამინისტროში (ფინანსთა და ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, განათლების, კულტურისა და სპორტის, ჯანდაცვის სამინისტროებში) და აჭარის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებებში (საარქივო სამმართველო, საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების დეპარტამენტი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი) საჯარო მოხელეებზე გაცემული გასამრჯელოს შესახებ ინფორმაციას.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და სახელფასო დანამატს. თანამდებობრივი სარგო კონკრეტულ პოზიციაზე ფიქსირებული ანაზღაურებაა და მას საჯარო მოხელე ყოველთვიურად განსაზღვრული ოდენობით იღებს. პრემია და სახელფასო დანამატი დამატებითი ანაზღაურებაა, რომლის გაცემის პერიოდულობა 2016 წელს მოქმედი კანონით დაზუსტებული არ იყო.

2015 წლის 21 იანვარს, აჭარის ა/რ მთავრობამ მიიღო განკარგულება, რომელმაც ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო მოსამსახურეებისთვის სახელფასო დანამატების ოდენობა განსაზღვრა.

ალნიშნული განკარგულების თანახმად, მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, მათი მოადგილეები, საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელები, მინისტრის თანაშემწეები და მრჩევლები 2015 წლის იანვრიდან, ყოველთვიურად, თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) ოდენობის 75%-იან სახელფასო დანამატს იღებენ; დეპარტამენტის, ადმინისტრაციის და გენერალური ინსპექციის უფროსი, მთავარი ბუღალტერი – თანამდებობრივი სარგოს ოდენობის 60%-იან ყოველთვიურ სახელფასო დანამატს; დეპარტამენტში შემავალი განყოფილების უფროსები – სარგოს ოდენობის 50%-იან სახელფასო დანამატს; მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი, დამხმარე (ტექნიკური) მოსამსახურეები კი სარგოს 40%-იან სახელფასო დანამატს.



ალნიშნული განკარგულების საფუძველზე აჭარის მთავრობაში სახელფასო დანამატების არათანაბარი განაწილების პრაქტიკაზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ" შეფასება 2015 წლის მარტში გამოაქვეყნა.

შრომის ანაზღაურების პრაქტიკის სამართლებრივ ნაწილზე საუბრისას აღსანიშნავია საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წლის 15 ივლისს მიღებული 499-ე დადგენილება, რომელიც საჯარო დაწესებულებში პრემიის ოდენობა განსაზღვრა. აღნიშნული დადგენილების თანახმად, პრემია გაიცემა შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და დასაბუთების საფუძველზე; თანამდებობის პირებს შეეზღუდათ საკუთარ თავზე პრემიის გაცემის შესაძლებლობა; პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ; პრემია შეიძლება გაიცეს წელიწადში სამჯერ უქმე დღეებთან დაკავშირებით; გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობით.

2016 წელს აჭარის მთავრობის აპარატში, სამინისტროებსა და საქვეუწყებო დაწესებულების პოლიტიკური თანამდებობის პირებს: მთავრობის თავმჯდომარეს, მინისტრებს და მათ მოადგილეებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს პრემია არ აუღიათ.

არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, პრემიების გაცემის ყველაზე სამართლიანი პრაქტიკა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა დაამკვიდრა: ამ უწყების მიერ თანამშრომლებზე პრემიების გაცემის საფუძვლებია საპრემიო კომისიის ოქმები და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათები.

ამასთან, ტურიზმის დეპარტამენტში დასაქმებული საჯარო მოხელეები ყოველთვიურად განსხვავებული ოდენობის პრემიას იღებდნენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ უწყებაში საპრემიო თანხის განკარგვა მეტწილად დამსახურების მიხედვით ხდებოდა. თუმცა, სხვა დაწესებულებების მსგავსად, ამ უწყების ყველა თანამშრომელზეც 2016 წლის დეკემბერში თანამდებობრივი სარგოს 100%-იანი ოდენობის პრემია გაიცა.

აჭარის სამთავრობო უწყებებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობა არ შემცირებულა, მაგრამ საშტატო ერთეულების ზრდის ტენდენციაც არ შეიმჩნევა. აჭარაში ერთი და იმავე თანამდებობის პირების (ოთხივე მინისტრის, მათი მოადგილეების, საქვეუწყებო დაწესებულებების, დეპარტამენტების ხელმძღვანელების და მათი მოადგილეების) წლიური შრომის ანაზღაურება ერთმანეთის იდენტურია.

საჯარო ინფორმაციით მიღებული მონაცემების ანალიზი გვაჩვენებს, რომ 2016 წლის განმავლობაში აჭარის მთავრობასა და მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების უმეტეს ნაწილში დანამატები კვლავ გაიცემა არა შესრულებული სამუშაოს შედეგის მიხედვით, არამედ გაწეული სამუშაოს შედეგების ყოველგვარი ანალიზის გარეშე. ამასთან, 2016 წლის განმავლობაში სახელფასო დანამატი ყველა სამინისტროსა და საქვეუწყებო დაწესებულებაში ყოველთვიურად გაიცემოდა.

2016 წელს აჭარის მთავრობის აპარატის, სამინისტროს და საქვეუწყებო დაწესებულებში დასაქმებულ საჯარო მოხელეებს, გარდა ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისა, ერთდროულად მიღებული აქვთ სახელფასო დანამატი და პრემია; საშუალოდ აჭარის მთავრობასა და საქვეუწყებო დაწესებულებებში გაცემული დანამატებისა და პრემიების ჯამი თანამშრომლებზე გაცემული სახელფასო ანაზღაურების 72%-ია (ქვემოთ იხილეთ მონაცემები). აჭარის საქვეუწყებო დაწესებულებში თანამდებობის სარგოს 100% პრემიის გაცემა თანამშრომლებზე ხდება კვარტალში ერთხელ და სადღესასწაულო დღეებში. – პრემიის გაცემა არა კონკრეტული სამუშაოს ზედმიწევნით კარგად შესრულების წახალისებას, არამედ სადღესასწაულო თარიღებს უკავშირდება.

აჭარაში სამთავრობო სხვა უწყებების თანამშრომლებზე გაცემული პრემიის რაოდენობა ყოველთვიურად იდენტურია, რაც ეჭვს ბადებს, რომ პრემია გამოიყენება ხელფასის ასევე ყოველთვიურად გაზრდის მიზნით, რაც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის შედეგად ვერ დგინდება კავშირი შესრულებულ სამუშაოს/ხარისხს და გაცემულ პრემიას შორის. ანალიზი აჩვენებს, რომ სახელფასო დანამატიც გაიცემა საჯარო მოხელეების ყოველთვიური გასამრჯელოს გაზრდის მიზნით, რადგან ის ფაქტობრივად ფიქსირებული ხელფასის მსგავსი ოდენობით გაიცემა.

2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, აჭარის მთავრობის აპარატსა და სამინისტროებში გაცემული თანამდებობრივი სარგოს, პრემიის, სახელფასო დანამატის, საწვავსა და მივლინებაზე დახარჯული თანხის საერთო მოცულობამ 15,407,596 ლარი შეადგინა, მათ შორის შრომის ანაზღაურების საერთო მოცულობა – 12 058 202 ლარი ამგვარად გადანაწილდა: ხელფასი – 6867160; დანამატი – 3458197; პრემია – 1752845; შტატგარეშეთა 2641149.

2015 წელთან შედარებით, პრემიების გაცემის სიხშირე, ოდენობა და მაჩვენებელი 2016 წელსაც შენარჩუნებულია. 2015 წელთან შედარებით, 2016 წელსაც სახელფასო დანამატის გაცემის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის, მაგრამ 2016 წელსაც ის ორჯერ აღემატება გაცემული პრემიის ოდენობას: 2016 წელს პრემიის სახით ყველაზე მეტი თანხა – 408,350 ლარის ოდენობით, აჭარის მთავრობის აპარატში გაიცა, ყველაზე ნაკლები – 57.500 ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში. 2016 წელს სახელფასო დანამატის სახით ყველაზე მეტი თანხა – 683.555 ლარი აჭარის მთავრობის აპარატში გაიცა, ყველაზე ნაკლები აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში – 170.633 ლარი. შტატგარეშე ანაზღაურების გაცემის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი თანხა 1.619.314 ლარი საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტში გაიცა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, საშუალო თანაფარდობა პრემიებისა და დანამატების ჯამის ხელფასის საერთო ოდენობასთან აჭარის მთავრობაში 72%-ია. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროშია, ყველაზე დაბალი კი ტურიზმის დეპარტამენტში.

2016 წელს აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს სახელფასო დანამატის სახით დაერიცხა 35.400 ლარი, პრემია არ დარიცხვია. სულ კი შრომის ანაზღაურების სახით მთავრობის თავმჯდომარემ 2016 წლის განმავლობაში 69.504 ლარი მიიღო. აჭარის მთავრობის წევრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურებას ვრცლად ამ ბმულზე გაეცნობით – როგორც აღვნიშნეთ, აჭარაში ერთი და იმავე თანამდებობის პირების წლიური შრომის ანაზღაურება ერთმანეთის იდენტურია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" მიერ შესწავლილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ ზემოთ ნახსენებმა მთავრობის დადგენილებებმა ვერ უზრუნველყვეს პრობლემის მოგვარება – ახალმა რეგულაციებმა პრემიების სახელფასო დანამატით ჩანაცვლება გამოიწვია. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ თავად აღნიშნული რეგულაციები არაერთ ხარვეზს შეიცავს, რასაც ორგანიზაციამ არაერთხელ გაუსვა ხაზი.

ვითარებას ართულებს ისიც, რომ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის დაგეგმილ ცვლილებების განხორციელებას აჭიანურებენ. საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში უნდა მიღებულიყო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონიც, რომლის ინიცირება მთავრობას 2016 წლის 1 სექტემბრამდე უნდა მოეხდინა. აღნიშნული კანონი ცვლიდა საჯარო სამსახურში ანაზღაურების მოქმედ სისტემას, რაც ასევე მასშტაბურ ცვლილებებს გამოიწვევდა ბიუჯეტის შესახებ კანონში, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, არც ეს კანონი მიღებულა და არც 2017 წლის ბიუჯეტშია შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა გათვალისწინებული.

მიუხედავად დაგეგმილი რეფორმის გადავადებისა, მოვუწოდებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, არ გამოიყენონ დანამატებისა და პრემიების გაცემის პრაქტიკა კანონის მოთხოვნათა გვერდის ავლით, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ცენტრალური მთავრობის მიერ დაანონსებული ადმინისტრაციული ხარჯების 10%-იანი შემცირება რეალურად 3%-იანი აღმოჩნდა და ხელისუფლების ბიუროკრატიული ხარჯები წლიდან წლამდე იზრდება," – ნათქვამია კვლევაში.

# უცხოელი მიწას საქართველოში იმიტომ ყიდულობს, რომ მერე უფრო ძვირად გაყიდოს

– უცხოელი მიწას საქართველოში იმიტომ ყიდულობს, რომ მერე უფრო ძვირად გაყიდოს, რაც ქვეყნის ეკონომიკას არ ავითარებს, რადგანაც წმინდა სპეკულაციური ოპერაციაა ან ყიდულობს იმიტომ, რომ თავისიანები ჩამოიყვანოს და დაასახლოს საქართველოში.

ამის შესახებ თსუ-ის პროფესორმა ლადო პაპავამ „ინტერპრესნიუსთან" ინტერვიუს დროს განაცხადა.

მისივე თქმით, ეს, პრაქტიკულად, ჩვენი საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შევიწროებაა.

– როდესაც აწგანსვენებული ბატონი კახა ბენდუქიძე ჩამოიყვანეს თბილისში და ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა მას დაავალეს, მაშინ ის გამოვიდა ასეთი ფორმულირებით – არ არსებობს სტრატეგიული ობიექტები და ყველაფრის გაყიდვა შეიძლება. ეკონომიკური მეცნიერება მართლაც არ განსაზღვრავს სტრატეგიული ობიექტის ცნებას. ეკონომისტისთვის ასეთი კრიტერიუმი არ არსებობს. მაგრამ ობიექტის სტრატეგიულობას განსაზღვრავს სხვა სფერო, ვინაიდან ჩვენ მარტო ეკონომიკით არ ვცხოვრობთ, – განაცხადა ლადო პაპავამ.

მისი თქმით, ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, მიწა არის სტრატეგიული ობიექტი. როგორც ლადო პაპავამ ინტერვიუში განაცხადა, მარტო ეკონომისტი ვერ იტყვის მიწა უნდა გაიყიდოს თუ არა და ამ საკითხზე საზოგადოებაში უნდა არსებობდეს კონსენსუსი.

– რაც შეეხება კონსენსუსს, აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქართული მიწა უცხოელებზე არ უნდა იყიდებოდეს.

იმიტომ კი არა, რომ ვიღაცა მიწას ზურგზე მოიკიდებს და გაიტანს, არა, მიწას ვერავინ ვერსად გაიტანს. უცხოელი მიწას საქართველოში იმიტომ ყიდულობს, რომ მერე უფრო ძვირად გაყიდოს, რაც ქვეყნის ეკონომიკას არ ავითარებს, რადგანაც წმინდა სპეკულაციური ოპერაციაა, ან ყიდულობს იმიტომ, რომ თავისიანები ჩამოიყვანოს და დაასახლოს საქართველოში. ეს კი პრაქტიკულად, ჩვენი საქართველოს მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების შევიწროებაა, – განაცხადა ლადო პაპავამ.

თსუ-ის პროფესორის თქმით, თუკი კონსტიტუციაში იქნება მკაფიო ჩანაწერი მიწის გაყიდვასთან დაკავშირებით, რომ უცხოელს არ შეეძლოს მიწის ყიდვა, ეს იქნება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ხედვის გათვალისწინება.

– ის, რომ მიწის გაყიდვა საქართველოში დიდ ეკონომიკურ აქტივობას გამოიწვევს და ქვეყანა ეკონომიკურად განვითარდება, ეს ბლეფია. ასეა თუნდაც იმიტომ, რომ როცა ჩვენში მიწის გაყიდვა ნებადართული იყო, მას არც დიდი ეკონომიკური აქტივობა და არც დიდი ეკონომიკური განვითარება არ მოჰყოლია. მიწის ყიდვა-გაყიდვა, როგორც უკვე ვთქვი, თავისი ბუნებით წმინდა წყლის სპეკულაციური მოვლენაა, თანაც ეკონომიკურად ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ხოლო სპეკულაციით ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე ვერ დადგება, – განაცხადა თსუ-ის პროფესორმა ლადო პაპავამ „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას.



# ამერიკა რუსეთს ახალ სანქციებს უწესებს

## რომელი პრობლემა აიძულებს ვაშინგტონს მოსკოვთან თანამშრომლობას

მარიამ მჭედლიშვილი



თეთრმა სახლმა დაადასტურა, რომ საქართველო და მისი დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა უთანხმოების საგანია აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებში.

თუმცა, მსოფლიოში არსებობს პრობლემები, რომლებიც გაცილებით უფრო მწვავედ მიიჩნევა და განსაზღვრავს ამერიკა-რუსეთის თანამშრომლობასა თუ კონფლიქტს.

რუსეთის მიმართ მოქმედებს დასავლეთის სანქციები ყირიმის ანექსიის გამო. ვაშინგტონში რუსეთისადმი სხვა სანქციების ამოქმედებაც უნდათ.

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ მოიწონა კანონპროექტი ანტირუსული და ანტიირანული სანქციების თაობაზე. ამის მიზეზია სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმისათვის საფინანსო და სამხედრო დახმარების გაწევა. წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარის, პოლ რაიანის თქმით, ასადის ქმედებებზე, რომლებიც კაცობრიობის წინააღმდეგაა მიმართული, აუცილებელია რეაგირება, მათ შორის ზემოქმედება ასადის მომხრეებზე. ასეთებია რუსეთი და ირანი. კანონპროექტი სენატმაც უნდა განიხილოს. თუ მას პრეზიდენტი ტრამპი ხელს მოაწერს, რუსეთსა და ირანს ახალი სანქციები დაუწესდება. შესაძლოა, ამ სანქციებმა საერთაშორისო სახე მიიღოს.

ასადის რეჟიმი ისევ დავას იწვევს დასავლეთსა და რუსეთ-ირანს შორის. რუსეთისა და ირანის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ასადის ყოფნა-არყოფნა თანამდებობაზე სირიის მოსახლეობის გადასაწყვეტია, მისი ძალით გადაყენება კი ხელს არ შეუწყობს კონფლიქტის დეესკალაციას.

ამერიკაში არსებობს ასევე იდეა, სანქციები დაუწესდეთ ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის მხარდამჭერებს. რუსეთი მათშიც იგულისხმება.

„ბლუმბერგი“ მიიჩნევს, რომ ეს წარმატებული ნაბიჯი არ იქნება, ვინაიდან, დასავლეთის მიერ გამოცხადებულმა სანქციებმა გაზარდა რუსეთის პარანოია და დააახლოვა მოსკოვი ჩრდილოკორეელ კიმ ჩენ ინთან.

გამოცემის აზრით, ამჟამად ვაშინგტონში აშშ-სა და რუსეთს შორის დიდი გარიგების იდეა ყველაზე უფრო არაპოპულარულია, ვიდრე ოდესმე, მაგრამ არსებობს ერთი საგარეო პოლიტიკური პრობლემა, რომელსაც აშშ რუსეთის გარეშე ვერ წყვეტს. ეს ჩრდილოეთ კორეის საკითხია. ამ რეჟიმის აგრესიის შენელებისათვის უკვე აღარ კმარა მხოლოდ ჩინეთთან მოლაპარაკება.

რუსეთს ჩრდილოეთ კორეასთან კარგი ურთიერთობა აქვს. 2014 წელს პუტინმა ხელი მოაწერა ამ ქვეყნის 11 მილიარდიანი ვალის 90%-ით ჩამოწერას. ეს თანხა დაახლოებით ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებას უტოლდება. რუსეთის ტერიტორიაზე, შორეულ აღმოსავლეთში მშენებლობებზე მუშაობს ჩრდილოეთ კორეის 50 ათასზე მეტი მოქალაქე. მათზე ღია მეთვალყურეობას ახორციელებს საკუთარი ქვეყნის დაზვერვა. ხელფასების ნაწილი ჩრდილოეთ კორეის ბიუჯეტში ირიცხება. რუსეთში დარჩენის მსურველებს უკან აბრუნებენ – რუსეთი მათ კიმ ჩენ ინის რეჟიმს გადასცემს.

ვაშინგტონსა და მოსკოვს საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებზეც უწევთ ერთმანეთთან დალაპარაკება. ამ დღეებში დიდი რეზონანსი მოჰყვა გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ დონალდ ტრამპმა საიდუმლო ინფორმაცია გაუმხილა სერგეი ლავროვს. საქმე ეხება ისლამური სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ ტერაქტს თვითმფრინავში. ამის მონაცემები ისრაელის დაზვერვამ მოიპოვა.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის, მაიკლ მორელის სიტყვებით, ტრამპს, როგორც პრეზიდენტს, უფლება ჰქონდა, გაემჟღავნებინა ნებისმიერი ინფორმაცია.

მორელი აცხადებს, რომ ამ პროცესებში თავის მოვალეობა ვერ შეასრულეს პრეზიდენტის მრჩევლებმა, რომლებმაც არ შეათანხმეს პრეზიდენტის საუბრის დეტალები.

დაზვერვის სპეციალისტის თქმით, არ უნდა მომხდარიყო ინფორმაციის გაჟონვა. დამნაშავეები არიან წყაროები, რომელთა საშუალებითაც ტრამპი-ლავროვის საუბრის შინაარსი პრესის ფურცლებზე მოხვდა და მსოფლიოში გავრცელდა.

ამის შედეგად სხვა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებმა შეიძლება უარი თქვან მონაცემების ამერიკისათვის გაზიარებაზე. ამიტომ, დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.

## ამერიკულმა ავიაციამ ასადის შეიარაღებულ ძალებს დაარტყა



სირიის დიქტატორმა ასადმა საოკუპაციო უწოდა ყველა უცხოურ ფორმირებას, რომლებიც მისი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან. ასადმა აღნიშნა, თუკი მათ სირია არ დატოვეს, გავანადგურებთო.

სიტყვას საქმეც მოჰყვა. ასადის მომხრე შეიარაღებული რაზმები ე.წ. უსაფრთხო ზონაში შეიჭრნენ, შემდეგ კი ცეცხლი გაუხსნეს ზომიერი ორიენტაციის სირიელ პარტიზანებს.

საპასუხოდ ამერიკის სამხედრო საჰაერო ძალებმა გამაფრთხილებელი ცეცხლი გახსნეს. ამან ასადის მხედრობაზე რეაქცია არ იქონია. სირიის დიქტატორის მომხრე ფორმირებები წინსვლას განაგრძობდნენ. ამით ისინი საფრთხეს უქმნიდნენ როგორც ზომიერ სირიელ პარტიზანებს, ასევე ამერიკულ სამხედრო ბაზასაც. ამერიკელმა სამხედრო საჰაერო ძალებმაც ასადელებზე დარტყმა განახორციელეს. ასადის მხედრობაში არის მსხვერპლი. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა განაცხადა, რომ ასადის ჯარისკაცებზე დარტყმა სამწუხარო აუცილებლობით იყო გამოწვეული.

– ჩვენ სხვა გამოსავალი აღარ გვქონდა, – თქვა მატისმა.

თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ აშშ არ მიისწრაფვის იმისკენ, რომ სირიის სამოქალაქო ომში თავისი როლი გაზარდოს.

– ჩვენი მიზანი უცვლელია: საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. რაც შეეხება სირიაში არსებულ დაპირისპირებას, ის პოლიტიკური საშუალებებით უნდა მოგვარდეს, – ამბობს მატისი.

ამავე დროს, მატისმა აღნიშნა, რომ აშშ-ის რეაგირება ნებისმიერ პროვოკაციაზე სასტიკი იქნება.

– ყველამ უნდა იცოდეს, რომ ამერიკასთან ძალის ენით ლაპარაკი დაუშვებელია, – თქვა მატისმა.

## ათენში დემონსტრანტებმა პარლამენტში შეჭრა ცადეს

საბერძნეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ეკონომიკური ღონისძიებების ახალ პაკეტს, რომელიც ხელფასებისა და პენსიების შემცირებას ითვალისწინებს.

დეპუტატთა ნაწილი შეეცადა, ამას წინ აღდგომოდა, მაგრამ ამაოდ.

ამრიგად, ბერძნებმა თავიანთი კრედიტორების მოთხოვნები შეასრულეს. პარლამენტის მიერ კანონის მიღება ფრიად ბობოქარ ვითარებაში მოხდა. 2.000-მდე მანიფესტანტმა პარლამენტში შევარდნა ცადა. მათსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. პოლიციამ ხელკეტები და წყლის ჭავლი გამოიყენა.

მანიფესტანტებმა პასუხად ქვები და ბოთლები დაუშინეს.

რამდენიმე აგრესიულ დემონსტრანტი დააკავეს.

## აშშ-ის პრეზიდენტმა გფბ-ს დირექტორობის კანდიდატი დაასახელა



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორობის ახალი კანდიდატი დაასახელა. ეს ჯო ლიბერმანია, ყოფილი დემოკრატი, შემდგომში კი – დამოუკიდებელი პოლიტიკოსი.

ლიბერმანი 1942 წელს პოლონელი ემიგრანტის ოჯახში დაიბადა. დაამთავრა იელის უნივერსიტეტი, შემდეგ – იელის სამართლის სკოლა. ვიეტნამის ომის დროს მშვიდობის დაცვის ლოზუნგით გამოდიოდა. მრავალი წლის შემდეგ მხურვალედ დაუჭირა მხარი ერაყში ამერიკელთა ინტერვენციას. ჯონ მაკეინთან ერთად ხმა მისცა დიდი რვიანის რიგებიდან რუსეთის გარიცხვას.

ლიბერმანი ორჯერ შეეცადა, აშშ-ის პრეზიდენტი გამხდარიყო. პირველად დემოკრატიული პარტიის შიგნით გამართულ პრაიმერიზში დამარცხდა. ამის შემდეგ გავიდა პარტიიდან და კენჭი, როგორც დამოუკიდებელმა კანდიდატმა, ისე იყარა, მაგრამ კვლავ დამარცხდა.

ამჟამად ჯო ლიბერმანი გფბ-ს დირექტორობის კანდიდატია.

## კოლუმბიის პრეზიდენტი აშშ-ში ჩავიდა




კოლუმბიის პრეზიდენტი სანტოსი აშშ-ში ჩავიდა. ის პირადად ტრამპს შეხვდა და ესაუბრა.

აშშ-ის პრეზიდენტმა გამოთქვა თავისი მხარდაჭერა სანტოსის ინიციატივისადმი, რომელიც გულისხმობს კოლუმბიაში არსებული დაპირისპირების მშვიდობიანი მეთოდებით გადაჭრას.

კერძოდ, საუბარია სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, რომელიც მთავრობასა და მემარცხენე პარტიზანებს შორის დაიდო.

ტრამპმა აღნიშნა, რომ აშშ მომავალშიც მხარს დაუჭერს კოლუმბიას ნარკობიზნესისა და დამნაშავეობის სხვა ფორმებთან ბრძოლაში.

საუბარი ვენესუელაში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო.

კოლუმბია მზად არის, მხარი დაუჭიროს აშშ-ს ვენესუელის მიმართ სანქციების შემოღების საკითხში. ვაშინგტონში იმედოვნებენ, რომ შედეგად პრეზიდენტი მადურო ხელისუფლებას ჩამოშორდება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

.● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.



# რა უნდა ვიცოდეთ სისხლის ანალიზის ხარისხიანად ჩატარებისათვის

ეკა ირემაშვილი

**სისხლი ორგანიზმის რთული შემადგენლობის მქონე სითხეა, რომელიც შეიცავს მრავალ არაორგანულ იონს, ცილებს, ჰორმონებს, ფერმენტებს, ნახშირწყლებს, ლიპიდებს და მხოლოდ ორ აირს: ჟანგბადსა და ნახშირორჟანგს.**
**რა უნდა ვიცოდეთ სისხლის ანალიზის ხარისხიანად ჩატარებისთვის, როდის უნდა გავიკეთოთ ანალიზი და რა ინფორმაციას იძლევა სისხლის ლაბორატორიული კვლევა, ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიული სამსახურის ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი ნანა კვაშილავა საუბრობს.**

ნანა კვაშილავა:

– სისხლი არის ორგანიზმის რთული შემადგენლობის მქონე სითხე, რომელიც შეიცავს მრავალ არაორგანულ იონს, ცილებს, ჰორმონებს, ფერმენტებს, ნახშირწყლებს, ლიპიდებს და მხოლოდ ორ აირს: ჟანგბადსა და ნახშირორჟანგს.

ჯანმრთელ ადამიანებში ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტის კონცენტრაცია გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული, რაც ასახავს მთელი ორგანიზმის და მისი ცალკეული უჯრედების ნორმალურ ფუნქციონირებას. დაავადებების დროს ირღვევა ერთი ან რამდენიმე ქიმიური კომპონენტის ბალანსი, რაც სისხლის ანალიზის ჩატარების პირდაპირი ჩვენებაა დიაგნოზის დასასმელად, შემდეგ კი მკურნალობის მონიტორირებისთვის.

***– რა არის ჰემატოლოგიური ანალიზი და როდის გამოიყენება იგი?***

– ჰემატოლოგიური ანალიზი გამოიყენება იმ დაავადებათა სადიაგნოსტიკოდ და/ან მონიტორირებისთვის, რა დროსაც ცვლილებებს განიცდის სისხლის უჯრედების ერითროციტების ლეიკოციტების თრომბოციტების რაოდენობა, ზომა და სტრუქტურა.

ჰემატოლოგიურ ანალიზს განეკუთვნება ასევე სისხლის შედედების პროცესში მონაწილე ცილების კონცენტრაციის განსაზღვრა – პოსტსაბჭოთა სივრცეში კოაგულოლოგიად წოდებული. ჰემატოლოგიური მეთოდების გამოყენებით ისმება სისხლის შემდეგი დაავადებების დიაგნოზები: ლეიკოზები, ანემიები, მიელომური და ხოჯკინის დაავადებები, ჰემოსტაზის – სისხლის შედედების დარღვევები, რომლებსაც მივყავართ თრომბოზებამდე და სისხლდენამდე.

***– რამდენად მნიშვნელოვანია სისხლის ანალიზი დაავადების დიაგნოსტირებისთვის?***

– დაავადებების თანამედროვე და ზუსტი დიაგნოსტიკა შეუძლებელია ლაბორატორიული კვლევების გარეშე. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ლაბორატორიული კვლევები იძლევა 60-80% სადიაგნოსტიკო ინფორმაციას.



თანამედროვე ლაბორატორიული დიაგნოსტიკა – ეს არის სარკე, რომელშიც აისახება ორგანიზმის დღევანდელი მდგომარეობა და იძლევა წარმოდგენას ხვალინდელ დღეზე. ამიტომ რეგულარული, სკრინინგული და პროფილაქტიკური გამოკვლევები ჯანმრთელობის შენარჩუნების და დროული მკურნალობის საწინდარია.

***– რაზეა დამოკიდებული ანალიზის შედეგების სიზუსტე?***

– ანალიზის შედეგების სიზუსტე დამოკიდებულია ლაბორატორიის მუშაობის ხარისხსა და პაციენტის წინასწარ მომზადებაზე. პრეანალიტურ ეტაპზე მოდის შეცდომების დაახლოებით, 44-68%, რის შედეგადაც 6%-მდე პაციენტები იღებენ არასწორ მკურნალობას, ხოლო დაახლოებით, 20%-ს ენიშნება დამატებითი გამოკვლევები.

***– რამ შეიძლება გავლენა იქონიოს ანალიზის შედეგებზე?***

– ძირითადი პრეანალიტური ფაქტორი, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ანალიზის შედეგებზე, არის:

წამლები – სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედება მრავალნაირია და ამის წინასწარ განჭვრეტა ძნელია.

საკვების მიღება – შესაძლებელია პირდაპირი ზემოქმედება საკვების კომპონენტების შეწოვით. მაგალითად: კალიუმის, ტუტე ფოსფატაზის სახით და არაპირდაპირი – მაგალითად: შრატის შემღვრევა ცხიმოვანი ნაწილაკების შეწოვის გამო.

მაგარი ჩაის და კოფეინის შემცველი სასმელების მიღება იწვევს სისხლსა და შარდში კატექოლამინების, თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების, გლუკოზის, ერითროციტებისა და ლეიკოციტების მომატებას.

ალკოჰოლი – სასმელის მწვავე და ქრონიკული ზემოქმედება მეტაბოლურ პროცესებზე ხელს უწყობს სისხლში ლაქტატის, შარდმჟავა და ტრიგლიცერიდების მომატებას, გლუკოზის დაქვეითებას.

ხანგრძლივი შიმშილი – 48-72 საათი – იწვევს ბილირუბინის მომატებას, გლუკოზის შემცირებას, შარდოვანასა და თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების მომატებას.

თამბაქოს მოწევა – იწვევს ზოგიერთი ბიოაქტიური ნივთიერების სეკრეციას.

ფიზიკური და ემოციური გადაღლა – იწვევს ჰორმონულ და ბიოქიმიურ სეკრეციას.

ფიზიოპროცედურებს და ინსტრუმენტულ გამოკვლევებს შეუძლია ზოგიერთი პარამეტრის დროებით შეცვლა.

მენსტრუაციული ციკლის ფაზა – აუცილებელია ისეთი ჰორმონების გამოკვლევისათვის, რომელთა დონე იცვლება ციკლის დღეების მიხედვით.

***– რამდენად მნიშვნელოვანია ანალიზის აღების დრო?***

– ანალიზის აღების დრო მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს ადამიანის აქტიურობის ბიორითმები, შესაბამისად, მრავალი ბიოქიმიური და ჰორმონული პარამეტრის სადღეღამისო რიტმი მეტ-ნაკლებად გამოხატულია სხვადასხვა მაჩვენებლისათვის. ნორმის მაჩვენებლები ასახავენ იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც მიღებულია სისხლის აღებისას დილით, სტანდარტულ პირობებში.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

სპორტი

# დიეგო მარადონა: „ნეაპოლში დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ“



დიეგო მარადონა იტალიური მედიის ხშირი რესპონდენტია. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარულმა არგენტინელმა საფეხბურთო კარიერის საუკეთესო წლები ნაპოლიში გაატარა და გუნდის გულშემატკივრები მას დღემდე აღმერთებენ.

მარადონამ ნაპოლისთან ერთად იტალიის ჩემპიონატი და უეფას თასი მოიგო.

თუმცა, ეს დიდი ხნის წინ იყო. სადღეისოდ კი დიდმა დიეგომ ყოფილ გუნდზე ისაუბრა და არ დამალა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დიდი სიამოვნებით ჩაუდგებოდა სათავეში სამხრეთულ გუნდს.

***– როგორ შეაფასებდით ნაპოლის თამაშს მიმდინარე სეზონში?***

– მთლიანობაში, ნაპოლი კარგად ასპარეზობს და, დიდი იმედი მაქვს, რომ სერია ა-ს მეორე ადგილზე დაასრულებს. მაურიციო სარი იტალიაში მხოლოდ იუვენტუსს ჩამორჩა, ჩემპიონთა ლიგაზე კი რეალთან დამარცხდა. ტურინელები და მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშებენ, რადგან საუკეთესო გუნდები ჰყავთ ევროპაში. შესაბამისად, ნეაპოლელების გაკრიტიკება უმადურობა იქნება – ისინი მარტო უძლიერესებს ჩამორჩნენ. თუ გუნდი ზაფხულში გაძლიერდება, მომდევნო სეზონში კიდევ უკეთეს ნაპოლის ვიხილავთ.

***– თქვენ ხომ არ გინდათ მწვრთნელად მუშაობა ნეაპოლში?***

– ვიქნები თუ არა ოდესმე ნაპოლის მთავარი მწვრთნელი? თუ ამას გულშემატკივრები და კლუბის მესვეურები მოინდომებენ, დიდი სიამოვნებით. არგენტინაში ჩემი გული ბოკა ხუნიორსს ეკუთვნის, ევროპაში – ნაპოლის. თუ რამით შევძლებ ნეაპოლური გუნდის დახმარებას, ყველაფრისთვის მზად ვარ. ნაპოლიში ფანტასტიკური წლები გავატარე და ჩემთვის ბედნიერება იქნება, თუ გუნდთან ერთად მწვრთნელის რანგში მივაღწევ წარმატებებს.

***– კლუბის პრეზიდენტ დე ლაურენტისზე რა აზრის ხართ? თუ გაქვთ კონტაქტი?***

– კლუბის პრეზიდენტ აურელიო დე ლაურენტისთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს. ყოველთვის სურდა, რომ კლუბის დირექტორთა საბჭოში მემუშავა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან იტალიაში გადასახადებთან დაკავშირებული პრობლემების გამო ჩასვლა და მუშაობა აკრძალული მქონდა, თანაც, სიმართლე გითხრათ, დირექტორობა ჩემი საქმე არ არის. დე ლაურენტისი კლუბისთვის ყველაფერს აკეთებს და მის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

***– ამჟერად გუნდის ლიდერი მარეკ ჰამშიკია. მასზე რას გვეტყვით?***

– ჰამშიკი გუნდის ნამდვილი ლიდერი და კაპიტანია. სხვები წავიდნენ, უკეთესი პირობები და უფრო მეტი შემოსავალი აირჩიეს, ჰამშიკი კი დარჩა და დღემდე ნაპოლისთვის თამაშობს. დარწმუნებული ვარ, მარეკს არაერთი წინადადება ჰქონდა და გაცილებით უკეთეს პირობებს სთავაზობდნენ. ამ პერიოდში, ნაპოლი დატოვეს ლავეციმ, კავანიმ, იგუაინმა და კიდევ არაერთმა მოთამაშემ, მარეკი კი რჩება – სწორედ ეს არის ჩემთვის ერთგულებისა და თავდადების მაგალითი.

კალეიდოსკოპი



# ბრიტანელმა ოფისი ბურთებით აავსო

ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერში ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელმა კომპანიის ოფისი სხვადასხვა ფერის ბურთებით აავსო. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია აღნიშნული, ოფისის მთელი სივრცის შესავსებად დაახლოებით 250 ათასი ბურთი დასჭირდათ.

# იაპონიის პრინცესა ტიტულზე უარს ამბობს და უბრალო მოკვდავზე თხოვდება



პრინცესა მაკო აკისინომ, იმპერატორ აკიხიტოსა და დედოფალ მიტიკოს პირველმა შვილიშვილმა, გადაწყვიტა, უარი თქვას თავის ტიტულზე და უბრალო მოკვდავს გაჰყვეს ცოლად.

პრინცესა მაკომ ტოკიოს საერთაშორისო ქრისტიანული უნივერსიტეტი დაამთავრა, ისევე, როგორც მისმა რჩეულმა, 25 წლის კეი კომურომ. წყვილი ერთმანეთს პირველად ხუთი წლის წინ შეხვდა დედაქალაქის ერთ-ერთ რესტორანში. ცნობილია, რომ პრინცესამ თავისი შეყვარებული უკვე გააცნო ოჯახს, რომელმაც მისი არჩევანი მოიწონა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომურო გატაცებულია თხილამურებით სრიალით, ასევე ვიოლინოზე დაკვრითა და კულინარიით. მასთან ქორწილის შემდეგ კი მაკო ტიტულს დაკარგავს.

პრინცესა პრინც აკისინოსა და პრინცესა აკისინოს უფროსი ქალიშვილია. სამეფო ოჯახის წარმომადგენელს ასევე ჰყავს 22 წლის უმცროსი და კაკო და 10 წლის ძმა ხისახიტო. კანონის თანახმად, იაპონიის იმპერატორის ტახტის პრეტენდენტი მხოლოდ მამაკაცი შეიძლება იყოს.



# ბრიტანელმა ძიძამ მერი პოპინსი დაირქვა

ბრიტანეთის ლანკაშირის საგრაფოს მცხოვრებმა ქალმა, რომელიც ძიძად მუშაობს, მწერალ პამელა ტრევერსის ნაწარმოების პერსონაჟის სახელი, მერი პოპინსი დაირქვა. 42 წლის პოპინსი, რომელსაც ადრე ემა დევენპორტი ერქვა, 20 წელზე მეტია ბავშვების მოვლითაა დაკავებული და მუდმივად სასწაულმოქმედი ძიძასავით იცვამს. მან სახელის შეცვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, როდესაც ერთ-ერთ პორტალზე ნახა, რომ მერი პოპინსი ზღაპრის პერსონაჟებს შორის პოპულარობით მეორე ადგილს იკავებდა. ქალმა გადაწყვიტა, სახელის შეცვლით საკუთარ თავზე მომთხოვნელობა გაეზარდა და სოციალურ ქსელში დამქირავებელთა ყურადღება მიეპყრო.

მისი თქმით, ბავშვები, რომლებსაც ის უვლიდა, და მათი მშობლები მის ქცევასა და თვისებებს ხშირად ადარებდნენ მერი პოპინსს. მის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს მისმა მეუღლემ და ექვსი წლის ქალიშვილმა, რომელიც პამელა ტრევერსის წიგნის თაყვანისმცემელია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ევროპული ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება

## სტატისტიკა, ფსონები



მალე ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ჩემპიონატი თავს დაგვიკრავს და დროებით დაგვემშვიდობება. თუმცა, მანამდე ბევრი რამ არის გასარკვევი. ვნახოთ ამ უქმეებზე როგორ განვითარდება მოვლენები.

### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.05 არსენალი-ევერტონი | 1.44 | 4.5 | 7.0 |
| 21.05 უოტფორდი-სიტი | 9.0 | 4.5 | 1.36 |
| 21.05 ლივერპული-მიდლსბრო | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 21.05 ჰალი-ტოტენჰემი | 5.5 | 3.75 | 1.61 |
| 21.05 მანჩესტერი-კრ.პალასი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 21.05 ჩელსი-სანდერლენდი | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 21.05 ბარნლი-ვესტ ჰემი | 2.3 | 3.4 | 3.0 |
| 21.05 ლესტერი-ბორნმუთი | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 21.05 საუთჰემპტონი-სტოკი | 1.75 | 3.75 | 4.33 |
| 21.05 სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 2.0 | 3.3 | 3.8 |

**არსენალი-ევერტონი**

არსენალი: *ტრავმ*-ალექს ოხსლეიდ ჩემბერლეინი, სანტი კაზროლა

ევერტონი: *ტრავმ*-მარტინ სტეკელენბურგი, აარონ ლენონნი, რამირო მორი, სიმუს კულემანი, ჯეიმს მაკარტნი, იანიკ ბოლასიე

**უოტფორდი-სიტი**

უოტფორდი: *ტრავმ*-კრისტიან კაბასელე, მიგელ ბრიტოსი, კრეიგ კაჩკარტი, იუნის კაბული, მაურო ზარატე, რობერტო პერეირა

სიტი: *ტრავმ*-კლაუდიო ბრავო, ილქაი გუნდოგანი

**ლივერპული-მიდლსბრო**

ლივერპული: *ტრავმ*-სადიო მანე, ჯორდან ჰენდერსონი

მიდლსბრო: *ტრავმ*-არავინ

**ჰალი-ტოტენჰემი**

ჰალი: *ტრავმ*-ლაზარ მარკოვიჩი, დავიდ მეილერი, რაიან მეისონი, უილიამ კინი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-ჰარი ვინკს, ერიკ ლამელა

**მანჩესტერი-კრ.პალასი**

მანჩესტერი: *ტრავმ*-ეშლი იანგი, ლუკ შოუ, მარკოს როხო, ზლატან იბრაგიმოვიჩი

კრ.პალასი: *ტრავმ*-მამადუ სახო, კონორ უიკჰემი, პაპე სუარე

**ჩელსი-სანდერლენდი**

ჩელსი: *ტრავმ*-არავინ

სანდერლენდი: *ტრავმ*-სტივენ პიენაარი, იან კირჰოფი, პედი მაკნაირი

**ბარნლი-ვესტ ჰემი**

ბარნლი: *ტრავმ*-არავინ

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-მარკ ნობლე, ჩეიკ კუიატე, დიაფრა სახო, ენდი კეროლი, პედრო ობიანგი, მაიკლ ანტონიო, ანჯელო ოგბონა, გოკჰან ტორე

**ლესტერი-ბორნმუთი**

ლესტერი: *ტრავმ*-დენი დრინკვოტერი, რობერტ ჰანტი, ვეს მორგანი, ნამპალის მენდი

ბორნმუთი: *ტრავმ*-ბენიკ აფობე, ჯეკ უილშირი, ენდრიუ სარმანი, ადამ ფედერიკი, კალუმ უილსონი

**საუთჰემპტონი-სტოკი**

საუთჰემპტონი: *ტრავმ*-ვირჯილ ვან დიიკი

სტოკი: *ტრავმ*-იბრაჰიმ აფელაი

**სუონსი-ვესტ ბრომვიჩი**

სუონსი: *ტრავმ*-ჯეფერსონ მონტერო, ნათან დაიერი

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-მეტიუ ფილიპსი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 37 | 29 | 3 | 5 | 80-32 | 90 |
| 2.ტოტენჰემი | 37 | 25 | 8 | 4 | 79-25 | 83 |
| 3.ლივერპული | 37 | 21 | 10 | 6 | 75-42 | 73 |
| 4.სიტი | 37 | 22 | 9 | 6 | 75-39 | 75 |
| 5.არსენალი | 37 | 22 | 6 | 9 | 74-43 | 72 |
| 6.მანჩესტერი | 37 | 17 | 15 | 5 | 52-29 | 66 |
| 7.ევერტონი | 37 | 17 | 10 | 10 | 61-41 | 61 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 37 | 12 | 9 | 16 | 42-49 | 45 |
| 9.საუთჰემპტონი | 37 | 12 | 10 | 15 | 41-47 | 46 |
| 10.ბორნმუთი | 37 | 12 | 9 | 16 | 54-66 | 45 |
| 11.ლესტერი | 37 | 12 | 7 | 18 | 47-62 | 43 |
| 12.ვესტ ჰემი | 37 | 11 | 9 | 17 | 45-63 | 42 |
| 13.კრ.პალასი | 37 | 12 | 5 | 20 | 50-61 | 41 |
| 14.სტოკი | 37 | 10 | 11 | 16 | 40-56 | 41 |
| 15.ბარნლი | 37 | 11 | 7 | 19 | 38-53 | 40 |
| 16.უოტფორდი | 37 | 11 | 7 | 19 | 40-63 | 40 |
| 17.სუონსი | 37 | 11 | 5 | 21 | 43-69 | 38 |
| 18.ჰალი | 37 | 9 | 7 | 21 | 36-73 | 34 |
| 19.მიდლსბრო | 37 | 5 | 13 | 19 | 27-50 | 28 |
| 20.სანდერლენდი | 37 | 6 | 6 | 25 | 28-64 | 24 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.05 ხიხონი-ბეტისი | 2.5 | 3.4 | 2.75 |
| 20.05 დეპორტივო-ლას პალმასი | 1.7 | 4.0 | 4.33 |
| 20.05 ლეგანესი-ალავესი | 2.1 | 3.4 | 3.4 |
| 20.05 სევილია-ოსასუნა | 1.14 | 8.0 | 17.0 |
| 21.05 სელტა-სოსიედადი | 4.5 | 3.8 | 1.73 |
| 21.05 ვალენსია-ვილიარეალი | 2.9 | 3.5 | 2.3 |
| 21.05 ატლეტიკო-ბილბაო | 2.1 | 3.3 | 3.5 |
| 21.05 ბარსელონა-ეიბარი | 1.06 | 12.0 | 34.0 |
| 21.05 მალაგა-რეალი | 10.0 | 7.5 | 1.2 |

**ხიხონი-ბეტისი**

ხიხონი: *ტრავმ*-ლილო

ბეტისი: *ტრავმ*-ანტონიო სანაბრია

**დეპორტივო-ლას პალმასი**

დეპორტივო: *ტრავმ*-ლუიზინიო, ხოსელუ

ლას პალმასი: *ტრავმ*-დანიელ კასტელანო

**ლეგანესი-ალავესი**

ლეგანესი: *ტრავმ*-ჯონ სერანტესი, რობერტ იბანესი

ალავესი: *ტრავმ*-არავინ

**სევილია-ოსასუნა**

სევილია: *ტრავმ*-ბენუა ტრემულანისი

ოსასუნა: *ტრავმ*-მიგელ დე ლას კუევასი, ფაუსტო ტიენზა, ხავიერ ფლანო, დავიდ გარსია, იმანოლ გარსია, ტანო ბონინი, მიგელ ფლანო, დიდიე დიუგარი

**სელტა-სოსიედადი**

სელტა: *ტრავმ*-ჯუზეპე როსი

სოსიედადი: *ტრავმ*-მიკელ გონსალესი, დავიდ კონჩნა, კარლოს მარტინესი, იმანოლ აგირეჩე

**ვალენსია-ვილიარეალი**

ვალენსია: *ტრავმ*-აიმენ აბდენური

ვილიარეალი: *ტრავმ*-სერზიო ასენხო, დენის ჩერიშევი

**ატლეტიკო-ბილბაო**

ატლეტიკო: *ტრავმ*-აუგუსტო ფერნანდესი

ბილბაო: *ტრავმ*-ენრიკ საბორი

**ბარსელონა-ეიბარი**

ბარსელონა: *ტრავმ*-ჟერემი მატიე, რაფინია, ალექსის ვიდალი

ეიბარი: *ტრავმ*-ნანო, ანტონიო ლუნა, ფრან რიკო

**მალაგა-რეალი**

მალაგა: *ტრავმ*-რობერტო როსალესი, ადალბერტო პენარანდა, ხუანფრი, ბაკარი კონე, ზდრავკო კუზმანოვიჩი

რეალი: *ტრავმ*-დანიელ კარვახალი, გარეტ ბეილი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 37 | 28 | 6 | 3 | 104-41 | 90 |
| 2.ბარსელონა | 37 | 27 | 6 | 4 | 112-35 | 87 |
| 3.ატლეტიკო | 37 | 22 | 9 | 6 | 67-26 | 75 |
| 4.სევილია | 37 | 20 | 9 | 8 | 64-49 | 69 |
| 5.ვილიარეალი | 37 | 18 | 10 | 9 | 53-32 | 64 |
| 6.ბილბაო | 37 | 19 | 6 | 12 | 52-40 | 63 |
| 7.სოსიედადი | 37 | 19 | 6 | 12 | 57-51 | 63 |
| 8.ეიბარი | 37 | 15 | 9 | 13 | 54-47 | 54 |
| 9.ალავესი | 37 | 14 | 12 | 11 | 40-42 | 54 |
| 10.ესპანიოლი | 37 | 14 | 11 | 12 | 47-49 | 53 |
| 11.მალაგა | 37 | 12 | 10 | 15 | 49-53 | 46 |
| 12.ვალენსია | 37 | 13 | 7 | 17 | 55-62 | 46 |
| 13.სელტა | 37 | 13 | 5 | 19 | 51-67 | 44 |
| 14.ლას პალმასი | 37 | 10 | 9 | 18 | 53-71 | 39 |
| 15.ბეტისი | 37 | 10 | 8 | 19 | 39-62 | 38 |
| 16.ლეგანესი | 37 | 8 | 10 | 19 | 35-54 | 34 |
| 17.დეპორტივო | 37 | 7 | 12 | 18 | 40-61 | 33 |
| 18.ხიხონი | 37 | 7 | 9 | 21 | 40-70 | 30 |
| 19.ოსასუნა | 37 | 4 | 10 | 23 | 40-89 | 22 |
| 20.გრანადა | 37 | 4 | 8 | 25 | 29-80 | 20 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.05 გლადბახი-დარმშტადი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 20.05 ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 20.05 აინტრახტი-ლაიპციგი | 3.6 | 3.75 | 1.95 |
| 20.05 ბაიერნი-ფრაიბურგი | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 20.05 კიოლნი-მაინცი | 1.53 | 4.33 | 5.5 |
| 20.05 ჰერტა-ლევერკუზენი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 20.05 ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი | 1.36 | 5.5 | 7.0 |
| 20.05 დორტმუნდი-ვერდერი | 1.2 | 7.5 | 11.0 |
| 20.05 ინგლოშტადი-შალკე | 2.6 | 3.4 | 2.6 |

**გლადბახი-დარმშტადი**

გლადბახი: *ტრავმ*-იოსიპ დრმიჩი, ოსკარ ვიენდტი, ტონი იანჩკე

დარმშტადი: *ტრავმ*-ალექსანდერ მილოშევიჩი, ტერანსე ბოიდი, პეტერ ნიმეიერი

**ჰამბურგი-ვოლფსბურგი**

ჰამბურგი: *ტრავმ*-აარონ ჰანტი, იოან ჯურუ, რენე ადლერი, ალბინ ეკდალი

ვოლფსბურგი: *ტრავმ*-ჯეფრი ბრუმა, ჰენრიკ ჰანსენი

**აინტრახტი-ლაიპციგი**

აინტრახტი: *ტრავმ*-ანდერსონ ორდონესი, ომარ მასკარელი, ჟესუს ვალიეხო, ალექსანდერ მეიერი, მაკოტო ჰასებე

ლაიპციგი: *ტრავმ*-ვილი ორბანი

**ბაიერნი-ფრაიბურგი**

ბაიერნი: *ტრავმ*-ხავი მარტინესი, მანუელ ნოიერი

ფრაიბურგი: *ტრავმ*-მარკ ტორეხონი

**კიოლნი-მაინცი**

კიოლნი: *ტრავმ*-სერო გუირასი, მორიტც ჰარტმანი

მაინცი: *ტრავმ*-გაეტან ბუშმანი

**ჰერტა-ლევერკუზენი**

ჰერტა: *ტრავმ*-ვალენტი სტოკერი, სინან კურტი, ფაბიან ლუშტენბერგერი, ჯულიან შიბერი

ლევერკუზენი: *ტრავმ*-ლარს ბენდერი, ჰაკან ჩალჰანოღლუ

**ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი**

ჰოფენჰაიმი: *ტრავმ*-არავინ

აუგსბურგი: *ტრავმ*-კოო ჯა-ჩეოლი, იან მორავეკი

**დორტმუნდი-ვერდერი**

დორტმუნდი: *ტრავმ*-ნური შაჰინი, ანდრე შურლე, მარიო გიოტცე

ვერდერი: *ტრავმ*-სანტიაგო გარსია, მაქსიმილიან ეგეშტეინი, ლუკა კალდიროლა, კლემენს ფრიცი, იზეტ ჰაიროვიჩი

**ინგლოშტადი-შალკე**

ინგლოშტადი: *ტრავმ*-ტობიას ლეველსი, მორიტც ჰარტმანი

შალკე: *ტრავმ*-ბაბა რაჰმანი, ბრეელ ემბოლო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 33 | 24 | 7 | 2 | 85-21 | 79 |
| 2.ლაიპციგი | 33 | 20 | 6 | 7 | 64-37 | 66 |
| 3.დორტმუნდი | 33 | 17 | 10 | 6 | 68-37 | 61 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 33 | 16 | 13 | 4 | 64-37 | 61 |
| 5.ჰერტა | 33 | 15 | 4 | 14 | 41-41 | 49 |
| 6.ფრაიბურგი | 33 | 14 | 6 | 13 | 41-56 | 48 |
| 7.კიოლნი | 33 | 11 | 13 | 9 | 49-42 | 46 |
| 8.ვერდერი | 33 | 13 | 6 | 14 | 58-60 | 45 |
| 9.გლადბახი | 33 | 12 | 8 | 13 | 43-47 | 44 |
| 10.შალკე | 33 | 11 | 9 | 13 | 44-39 | 42 |
| 11.აინტრახტი | 33 | 11 | 8 | 14 | 34-41 | 41 |
| 12.ლევერკუზენი | 33 | 10 | 8 | 15 | 47-53 | 38 |
| 13.მაინცი | 33 | 10 | 7 | 16 | 44-53 | 37 |
| 14.აუგსბურგი | 33 | 9 | 10 | 14 | 35-51 | 37 |
| 15.ვოლფსბურგი | 33 | 10 | 7 | 16 | 33-50 | 37 |
| 16.ჰამბურგი | 33 | 9 | 8 | 16 | 31-60 | 35 |
| 17.ინგოლშტადტი | 33 | 8 | 7 | 18 | 35-56 | 31 |
| 18.დარმშტადტი | 33 | 7 | 3 | 23 | 26-61 | 24 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.05 კიევო-რომა | 11.0 | 6.0 | 1.25 |
| 20.05 ნაპოლი-ფიორენტინა | 1.28 | 6.0 | 9.0 |
| 21.05 სასუოლო-კალიარი | 1.85 | 4.0 | 3.75 |
| 21.05 უდინეზე-სამპდორია | 2.15 | 3.4 | 3.3 |
| 21.05 მილანი-ბოლონია | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 21.05 ჯენოა-ტორინო | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 21.05 ემპოლი-ატალანტა | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 21.05 იუვენტუსი-კროტონე | 1.2 | 6.0 | 15.0 |
| 21.05 ლაციო-ინტერი | 2.05 | 3.8 | 3.25 |
| 22.05 პესკარა-პალერმო | 2.3 | 3.5 | 2.87 |

**კიევო-რომა**

კიევო: *ტრავმ*-ნიკოლას სპოლი, დარიო დაინელი, პერპარიმ ჰატემაი, რიკარდო მეჯორინი,, ნიკოლა რიგონი

რომა: *ტრავმ*-ედინ ჯეკო, ალესანდრო ფლორენცი

**ნაპოლი-ფიორენტინა**

ნაპოლი: *ტრავმ*-არავინ

ფიორენტინა: *ტრავმ*-მილან ბადელი

**სასუოლო-კალიარი**

სასუოლო: *ტრავმ*-ალფრედ დანკანი, ლუკა მაზიტელი, ლორენცო პელეგრინი

კალიარი: *ტრავმ*-დანიელე დესენა, ფედერიკო მელხიორი

**უდინეზე-სამპდორია**

უდინეზე: *ტრავმ*-სამირი, სეკო ფოფანა, დავიდე ფარაონი

სამპდორია: *ტრავმ*-ბაშტოც ბერეზინსკი, ანჯელო პალომბო, ემილიანო ვივიანი

**მილანი-ბოლონია**

მილანი: *ტრავმ*-ლუკა ანტონელი, იგნასიო აბატე, ჯაკომო ბონავენტურა

ბოლონია: *ტრავმ*-ადამ ნაგი

**ჯენოა-ტორინო**

ჯენოა: *ტრავმ*-მატია პერინი, არმანდო იზო, ლუკას ორბანი

ტორინო: *ტრავმ*-არავინ

**ემპოლი-ატალანტა**

ემპოლი: *ტრავმ*-ლევან მჭედლიძე, გვიდო მარილუნგო, მარსელ ბუჩელი

ატალანტა: *ტრავმ*-ერვინ ზუკანოვიჩი, ბაკარი დრამე

**იუვენტუსი-კროტონე**

იუვენტუსი: *ტრავმ*-კლაუდიო მარკიზიო, სამი ჰედირა, დანიელე რუგანი, მარკო პიაცა

კროტონე: *ტრავმ*-ადრიან სტოიანი

**ლაციო-ინტერი**

ლაციო: *ტრავმ*-სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩი, შტეფან დე ვრეი, ფედერიკო მარკეტი

ინტერი: *ტრავმ*-ანდრეა პინამონტი

**პესკარა-პალერმო**

პესკარა: *ტრავმ*-უგო კამპანარო, გულიელმო სტენდარდო, სიმონე პეპე

პალერმო: *ტრავმ*-ალესანდრო გაცი, კარლოს ემბალო, სლობოდან რაიკოვიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 36 | 27 | 4 | 5 | 72-26 | 85 |
| 2.რომა | 36 | 26 | 3 | 7 | 82-33 | 81 |
| 3.ნაპოლი | 36 | 24 | 8 | 4 | 86-36 | 80 |
| 4.ლაციო | 36 | 21 | 7 | 8 | 72-45 | 70 |
| 5.ატალანტა | 36 | 19 | 9 | 8 | 60-41 | 66 |
| 6.მილანი | 36 | 17 | 9 | 10 | 53-43 | 60 |
| 7.ფიორენტინა | 36 | 16 | 11 | 9 | 60-51 | 59 |
| 8.ინტერი | 36 | 17 | 5 | 14 | 64-46 | 56 |
| 9.ტორინო | 36 | 12 | 14 | 10 | 65-61 | 50 |
| 10.სამპდორია | 36 | 12 | 11 | 13 | 46-50 | 47 |
| 11.უდინეზე | 36 | 12 | 8 | 16 | 44-50 | 44 |
| 12.კალიარი | 36 | 13 | 5 | 18 | 51-69 | 44 |
| 13.კიევო | 36 | 12 | 7 | 17 | 40-55 | 43 |
| 14.სასუოლო | 36 | 12 | 7 | 17 | 49-56 | 43 |
| 15.ბოლონია | 36 | 11 | 8 | 17 | 39-53 | 41 |
| 16.ჯენოა | 36 | 8 | 9 | 19 | 34-60 | 33 |
| 17.ემპოლი | 36 | 8 | 8 | 20 | 28-58 | 32 |
| 18.კროტონე | 36 | 8 | 7 | 21 | 31-54 | 31 |
| 19.პალერმო | 36 | 5 | 8 | 23 | 31-74 | 23 |
| 20.პესკარა | 36 | 2 | 8 | 26 | 33-79 | 14 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.05 ლორიანი-ბორდო | 2.37 | 3.75 | 2.7 |
| 20.05 ტულუზა-დიჟონი | 2.6 | 3.4 | 2.62 |
| 20.05 გენგამი-მეცი | 1.61 | 4.0 | 5.0 |
| 20.05 რენი-მონაკო | 3.5 | 3.6 | 2.0 |
| 20.05 პსჟ-კაენი | 1.2 | 6.5 | 12.0 |
| 20.05 ლილი-ნანტი | 2.45 | 3.4 | 2.8 |
| 20.05 ანჟე-მონპელიე | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 20.05ლიონი-ნიცა | 1.61 | 4.5 | 4.6 |
| 20.05 ნანსი-სტ.ეტიენი | 2.2 | 3.4 | 3.0 |
| 20.05 მარსელი-ბასტია | 1.33 | 5.0 | 9.0 |

**ლორიანი-ბორდო**

ლორიანი: *ტრავმ*-სილვიან მარვო, ვესლი ლაუტოა, ბენჯამინ მუკანჯო

ბორდო: *ტრავმ*-ნიკოლას პალოისი, ჯერემი მენეზი, მაქსიმ პუნდიე, ტომას ტურე

**ტულუზა-დიჟონი**

ტულუზა: *ტრავმ*-კლემენტ მიჩელინი, დუშან ვეშკოვაჩი

დიჟონი: *ტრავმ*-ვინსენტ რუფლი

**გენგამი-მეცი**

გენგამი: *ტრავმ*-ვინს

მეცი: *ტრავმ*-ვინს

**რენი-მონაკო**

რენი: *ტრავმ*-იორის გნანონი, მორჰან ამალფიტანო

მონაკო: *ტრავმ*-ბოშილია, გვიდო კარილო

**პსჟ-კაენი**

პსჟ: *ტრავმ*-ანხელ დი მარია, ტიაგო მოტა, ლევინ კურზავა, ჰატემ ბენ არფა

კაენი: *ტრავმ*-ჯეფ ლუისი, ერვე ბაზილე, მუჰამადუ დაბო

**ლილი-ნანტი**

ლილი: *ტრავმ*-ვინსენტ ენიამა, ადამა სუმაორო

ნანტი: *ტრავმ*-არავინ

**ანჟე-მონპელიე**

ანჟე: *ტრავმ*-მატეო პავლოვიჩიიოან ენდრიუ, ბილი კეტკეოპომპონე

მონპელიე: *ტრავმ*-ჰილტონი, ვილიამ რემი, იორის მარვო, კაზიმირ ნინგა

**ლიონი-ნიცა**

ლიონი: *ტრავმ*-ემანუელ მამანა, მაცეი რიბუსი

ნიცა: *ტრავმ*-მუნირ ობადი, ვალენტინ ეისერიჩი, ვილიამ ჩიპრიენი, ალასანე პლეა

**ნანსი-სტ.ეტიენი**

ნანსი: *ტრავმ*-არავინ

სტ.ეტიენი: *ტრავმ*-ჩეიკ მბენგუე, ოსამა ტანანე, ფლორენტინ პოგბა, ალექსანდერ სოდერლუნდი

**მარსელი-ბასტია**

მარსელი: *ტრავმ*-ჰიროკი საკაი, აბუ დიაბი

ბასტია: *ტრავმ*-ფლორიან მარანგე, სებასტიან სკილაჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 37 | 29 | 5 | 3 | 104-29 | 92 |
| 2.პსჟ | 37 | 27 | 5 | 5 | 82-26 | 86 |
| 3.ნიცა | 37 | 22 | 11 | 4 | 60-33 | 77 |
| 4.ლიონი | 37 | 21 | 3 | 13 | 74-45 | 66 |
| 5.მარსელი | 37 | 16 | 11 | 10 | 56-41 | 59 |
| 6.ბორდო | 37 | 15 | 13 | 9 | 52-42 | 58 |
| 7.ნანტი | 37 | 14 | 9 | 14 | 40-51 | 51 |
| 8.სტ.ეტიენი | 37 | 12 | 14 | 11 | 40-39 | 50 |
| 9.რენი | 37 | 12 | 14 | 11 | 34-39 | 50 |
| 10.გენგამი | 37 | 13 | 8 | 16 | 45-53 | 47 |
| 11.ტულუზა | 37 | 10 | 13 | 14 | 37-41 | 43 |
| 12.ლილი | 37 | 12 | 7 | 18 | 37-47 | 43 |
| 13.ანჟე | 37 | 12 | 7 | 18 | 38-49 | 43 |
| 14.მეცი | 37 | 11 | 10 | 16 | 39-71 | 43 |
| 15.მონპელიე | 37 | 10 | 9 | 18 | 48-64 | 39 |
| 16.დიჟონი | 37 | 8 | 12 | 17 | 46-58 | 36 |
| 17.კაენი | 37 | 10 | 6 | 21 | 35-64 | 36 |
| 18.ლორიანი | 37 | 10 | 5 | 22 | 43-69 | 35 |
| 19.ბასტია | 37 | 8 | 10 | 19 | 29-53 | 34 |
| 20.ნანსი | 37 | 8 | 8 | 21 | 26-51 | 32 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მალამო „მენტორი პირველის“ გამოყენების წესი**

სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება.

მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოლოს ნაკბენის დროს. მაღალი ეფექტის მისაღებად მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ – დილას და საღამოს.

**მობ. ტელ: 599-73-48-21**

# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 22 მაისი

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 02.45** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 03.45** "რეალური სივრცე" **18.00** "მოამბე" **18.30** "ხანმოკლეXX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. **"ველვეტი"** **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ **"შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი"** (შ.რემპლინგი) **01.00** მხ/ფ **"სწრაფები და უმაგრები"**

**08.00** დოკ/ფ "ლანსის ლუვრის გალერეა" **09.00** დოკ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" **10.00** დოკ/ფ "სიგარეტის გადაგდება" **11.00** დოკ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **12.00, 22.00** ტ/სერ. **"კედრის ყურე"** **13.00** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.00** დოკ/ფ "ჟან-პოლ გოტიე" **15.00, 17.00, 20.30** "ბრიფინგის დრო" **16.00** დოკ/ფ "გიიკების რევანში" **17.30** "თავისუფალი ტრიბუნა" **18.30 კალათბურთი**. საქართველოს სუპერ ლიგა - ფინალური სერია **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. **"კატერინა და მისი ქალიშვილები"**

**05.50, 14.40** სერ. **"ელიფი"** **07.30, 08.20, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.20** ქრონიკა **10.05** სერ. **"პატარძალი"** **11.20** სერ. **"ფიცი"** **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. **"სტამბოლის ორი სახე"** **18.45, 19.03** სერ. **"მოპარული ცხოვრება"** **20.55** სერ. **"ნამსხვრევები"** **22.30** მხ/ფ **"ჩამქრალნი"** **01.00** მხ/ფ **"ბირთვი"** **03.35** მხ/ფ **"გაიცანით ფოკერები"**

**06.00** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **06.45** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. **"ყველაზე ლამაზი"** **15.30** სერ. **"ინდური საგა"** **16.55** სერ. **"დაკარგული წლები"** **18.30** სერ. **"შენი ზოდიაქოს ფერი"** **19.57** სერ. **"დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა"** **22.00** X-ფაქტორი

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. **"შავი კოდი"** **11.00, 17.00** სერ. **"კრიმინალური აზროვნება"** **15.00** სერ. **"ანტიმაფია"** **19.00** სერ. **"გაბოროტებული"** **21.00** სერ. **"ანგარიშსწორება"** **22.30** მხ/ფ **"25-ე საათი"** **01.00** მხ/ფ **"გოლი"**

